ხვალ იწყება ახალი სასწავლო წელი

# გამარჯობა, სწავლისა და შრომის წელო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 205 (12717) | კვირა, 1 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.



ეს ბავშვები იღებენ იმ დიდი ლაშქრობის სტარტს, რომელსაც ცოდნის შეძენისათვის ლაშქრობა ჰქვია. სახემცინარე გოგონები და ბიჭუნები ხვალ პირველად მიუსხდებიან მერხებს და მოისმენენ პირველ გაკვეთილს. სურათზე: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის პირველკლასელთა ერთი ჯგუფი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ხვალ — მშობლიურ სკოლებში!

მოსწავლეთა რვაასიათასიანი არმია მასწავლებელთა სამოციათასიანი რაზმით ხვალ დაიძვრის სკოლისაკენ. თუ ამას მივუმატებთ უმაღლესი და ყველა ტიპის სხვა სასწავლებლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა ათეულ ათასებს, ადვილი წარმოსადგენია, ზღვის რა დიდი მოქცევა, რა დიდი მოძრაობა იქნება ეს, ზაფხულის შემდეგ პირველად განახლებული. ეს ხომ მთელი რესპუბლიკა მიეშურება ხვალ სკოლისაკენ, — რადგან ზემოთდასახელებული არმიის თვითეული მერიგე ვისიმე შვილია ან და და ძმაა, ან სხვა რამ ახლობელი, და მაშასადამე, სკოლის ერთი ფესვი მაინც უთუოდ ჩვენი გულის ძარღვებშია ჩახლართული.

ამიტომ, ხვალინდელი დღე, მართალია, კალენდარში წითლად არ არის აღნიშნული და მის აღსანიშნავად არც წითელი ალმები იქნება გამოფენილი, მაინც დიდი დღესასწაულია, რომელიც თვითეულ ჩვენგანს აღელვებს და ახარებს.

სკოლა წლევანდელ ახალ სასწავლო წელს განსაკუთრებული საზეიმო განწყობილებით იწყებს, რადგან ეს სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის კანონის განხორციელებისათვის ბრძოლის რიგით მეხუთე წელია. ამ საზეიმო განწყობილებას აღრმავებს ის, რომ წლევანდელი სასწავლო წელი ემთხვევა მთელი ჩვენი ხალხის თავდადებულ ბრძოლას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა, ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გრანდიოზულ ბრძოლას, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დაუცხრომელ ბრძოლას.

სადაც ბომბები და ზარბაზნები ქუხს, იქ სკოლის ზარები დუმს. ამის მწარე გამოცდილება მოგვცა გასულმა ომმა. ნუ ქნას! ნუ გამეორდეს! — ამას ესწრაფვის ჩვენი ხალხი, და მუდმივი და მტკიცე მშვიდობისათვის დაუცხრომლად იბრძვის ჩვენი პარტია, პირადად ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

მშვიდობის ეს დიდი გამოძახილია ჩვენი რესპუბლიკის სკოლებისა და სასწავლებლების ფართო ქსელი, სასკოლო კორპუსები და ნაგებობანი, შეუნელებელი ზრუნვა საყოველთაო-სახალხო განათლებისათვის, ის უდიდესი თანხები, რაც სკოლის, სახალხო განათლების ინტერესებისა და საჭიროებისათვის იხარჯება. მარტო ჩვენი რესპუბლიკის მაგალითი რაოდენ მეტყველი ფაქტია, თუ როგორ ზრუნავენ ჩვენი ბავშვებისათვის პარტია, მთავრობა, ხალხი!

იმისაგან უფრო მეტს მოითხოვენ, ვისაც მეტს აძლევენ. ეს ბუნებრივიც არის. სკოლისაგან, ვისთვისაც ესოდენ ზრუნავს ხალხი, მოითხოვენ მოზარდი თაობის სრულყოფილად აღზრდას. სკოლამ სამშობლოს უნდა აღუზარდოს კომუნიზმის მომავალი შეგნებული მშენებელი. წლევანდელი სასწავლო წელი უნდა იყოს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის კანონის განხორციელების უმნიშვნელოვანესი სასწავლო წელი. გასული სასწავლო წლების გამოცდილება ფართოდ უნდა გავითვალისწინოთ, მისგან საუკეთესო მარცვალი ავიღოთ, ხოლო უვარგისი — უკუვაგდოთ. საწარმოო სწავლებას უნდა მიეცეს პირველ რიგში შეგნებული შრომისათვის ბავშვის აღზრდის მნიშვნელობა. სწავლა და შრომა ისე უნდა შეერთდეს, რომ ერთს მეორისათვის ზიანი არ მოჰქონდეს.

მიუტევებელია ის სამწუხარო ფაქტები, რომ ზოგან დაქვეითებულია მოსწავლეთა ცოდნა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში, მთელ რიგ სკოლებში დაბალ დონეზე დგას მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება. ეს გამომჟღავნდა წელსაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე. საშუალო სკოლა მოწოდებულია მაღალ დონეზე დააყენოს მოსწავლეთა პროფესიული მომზადება. ამ მხრივ დიდი მოვალეობა აკისრია მოსწავლეთა საწარმოო სწავლებას.

კულტურული რევოლუციის უდიდესი მონაპოვარი — საყოველთაო განათლება შეუნელებელი ბრძოლით შეიძლება იქნას დამკვიდრებული. ხვალ სასკოლო ასაკის უკლებლივ ყველა ბავშვი უნდა იყოს სკოლაში. და არა მარტო ხვალ! — ისინი ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ, სანამ სკოლას არ დაამთავრებენ, რვაწლიანს — აუცილებლად!

ზრუნვა მასწავლებლისათვის! მუდამ ვაფასებდეთ და პატივს ვცემდეთ მასწავლებლის კეთილშობილურ შრომას, და ამასთან ვზრუნავდეთ მისი ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. სკოლა და ოჯახი ერთობლივად უნდა იბრძოდნენ ბავშვის აღზრდისათვის.

ხვალ ზარი დაირეკება. სწავლა დაიწყება. მაგრამ არ მთავრდება ის სამუშაოები, რასაც სასკოლო ბაზის გაფართოება და განმტკიცება მოითხოვს. ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის ტყუილად ნუ ამოისუნთქავენ შვებით სკოლის წინაშე ვალში დარჩენილი მშენებლები, გამომცემლები, მბეჭდავები, — ისინი უნდა განაგრძობდნენ მუშაობას. არ უნდა შენელდეს სასკოლო მშენებლობა, სკოლების შემდგომი კეთილმოწყობის სამუშაოები!

ამ და სწავლა-აღზრდის მრავალი სხვა საკითხით დაინტერესებას ყოველთვის უნდა იჩენდენ ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ისინი უნდა ეხმარებოდნენ სკოლებს, განათლების ორგანოებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა გარკვევით ჩამოაყალიბა სახალხო განათლების ორგანოების, სკოლის, პარტიული ორგანიზაციების ამოცანა: „...თანმიმდევრულად და მთლიანად სრულდებოდეს კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ, სწავლება შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს, გააუმჯობესონ ბავშვების ანტირელიგიური და ესთეტიკური აღზრდა, აღმოფხვრან მოსწავლეთა გადატვირთვა და მიაღწიონ მათი ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას, სკოლიდან მოსწავლეთა გამოკლების შეწყვეტას. მოითხოვონ პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, სახალხო განათლების ორგანოებისაგან ძირეულად გააუმჯობესონ საწარმოო სწავლება“.

სასწავლო წელი, რომელიც ხვალ დაიწყება, ამ ამოცანების განხორციელებისათვის ეფექტური ბრძოლით უნდა აღინიშნოს.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას მოგილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო მასწავლებლებო, საყვარელო ბავშვებო!

## ახალი სასწავლო წლის წინ

### ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, რ. ი. ფრუიძე, თ. ვ. ლაშქარაშვილი თბილისის სკოლებში

რესპუბლიკის ყველა სკოლაში დამთავრდა სამზადისი მოსწავლეთა მისაღებად.

ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ი. ფრუიძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი ეწვივნენ თბილისის მთელ რიგ სკოლებს. ლენინის რაიონში ისინი იყვნენ მე-10 და მე-15 საშუალო სკოლებში, ოქტომბრის რაიონში — 23-ე, ორჯონიკიძის რაიონში — 52-ე და მე-60 სკოლებში, კიროვის რაიონში — 66-ე, 75-ე და 73-ე აზერბაიჯანულ სკოლაში, 26 კომისრის რაიონში — 78-ე სკოლასა და 95-ე სომხურ საშუალო სკოლაში, აგრეთვე მე-3 სკოლა-ინტერნატში.

ვ. პ. მჟავანაძემ, რ. ი. ფრუიძემ და თ. ვ. ლაშქარაშვილმა დაათვალიერეს აგრეთვე ახალი № 126 სკოლა საბურთალოს საცხოვრებელი მასივის მეორე უბანში, რომელიც წელს პირველად მიიღებს მოსწავლეებს. ეს არის ვრცელი და ნათელი სამსართულიანი შენობა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მოზარდი თაობის წარმატებით აღზრდისა და მუშაობისათვის.

ყველა სკოლაში ვ. პ. მჟავანაძე ესაუბრა პედაგოგებს, მშობლებსა და მოსწავლეებს, მისცა მათ მთელი რიგი რჩევა-დარიგებანი და შენიშვნები, თუ როგორ წარმართონ უკეთ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საქმე, როგორ განამტკიცონ შემდგომ ცხოვრებასთან სკოლის კავშირი. (საქინფორმი).

# ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

## მიტინგზე ქალაქ ველენში

იუგოსლავ ხალხს შეუძლია სამართლიანად იამაყოს იმით, რაც შექმნა თავის მიწა-წყალზე სახალხო ხელისუფლების წლებში, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა 30 აგვისტოს მეშახტეთა ქალაქ ველენში მიტინგზე გამოსვლის დროს. მუშათა კლასის, ტექნიკური ინტელიგენციის ხელით აშენდა ათობით ქარხანა და ფაბრიკა.

ხალხის დოვლათის გამრავლებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის რომ ვზრუნავთ, აღნიშნა შემდეგ ამხანაგმა ხრუშჩოვმა, ჩვენ უნდა ვიფიქროთ საქმის მეორე მხარეზეც — იმაზე, თუ როგორ დავიცვათ ყოველივე, რაც ჩვენ შევქმენით, ომის ხანძრისაგან, როგორ შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მშვიდობა. ბრძოლა მსოფლიო თერმოატომური კონფლიქტის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ჩვენი დროის საარსებო და კეთილშობილური ამოცანაა.

საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა მიდის საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მხარდამხარ, მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ჩვენ უკვე ბევრი რამ მოვიპოვეთ ამ ბრძოლაში. მოიგონეთ კარიბის ზღვის რაიონში გასული წლის ოქტომბერში წარმოქმნილი ამბები. აქ, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა შემთხვევებშიც, სოციალისტური ქვეყნები, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები გადაჭრით წინაღუდგნენ იმპერიალისტებს და აიძულეს ისინი დათანხმებოდნენ მშვიდობიან მოწესრიგებას.

ყველა კეთილი ნების ადამიანი სიხარულით შეხვდა იმ ამბავს, რომ დაიდო ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ. ხელშეკრულების პირველი და უშუალო შედეგი ის არის, რომ ბოლო ეღება ჰაერისა და წყლის მოწამვლას რადიოაქტიური ნალექებით. მაგრამ მნიშვნელობა ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ბევრად უფრო ფართოა.

მოსკოვში დადებული ხელშეკრულება პირველი ნაბიჯია, რომელიც ქმნის ხელსაყრელ პირობებს შემდგომი წინსვლისათვის ამ მიზნისაკენ. წარმოიშვა საერთაშორისო ნდობის ჯანსაღი ყლორტები.

ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ ჩვენს პარტნიორებს მოლაპარაკებაში — ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს, თქვა შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომლებმაც გამოიჩინეს მზადყოფნა — მიღწეულიყო შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივ აკრძალვის შესახებ. ეს იმედს გვინერგავს, რომ შემდგომაც შეგვეძლება გამოვნახოთ საერთაშორისო პრობლემათა ურთიერთმისაღები გადაჭრა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ასეთ პრობლემათა შორის უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა შეთანხმებას მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ეს შეთანხმება ბოლოს მოუღებდა გამალებულ შეიარაღებას, ხალხები განიმსჭვალებოდნენ თავიანთი მომავლის მეტი რწმენით.

მსოფლიო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ გამოიტანა დიდმნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული დასკვნა, რომლის არსი ის არის, რომ თანამედროვე ეპოქაში ყოველმხრივ შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ომი, განვახორციელოთ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, აღნიშნა შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა. ამ დასკვნას საფუძვლად უდევს ის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა განუზომლად გაიზარდა, განმტკიცდა და სულ უფრო გადამწყვეტი ძალა ხდება, რომელიც განსაზღვრავს ისტორიული განვითარების მსვლელობას. მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან თანამედროვეობის მთელი რევოლუციური და პროგრესული ძალები.

ის პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც ამბობენ, თერმოატომური ომი საშიში არ არის, რადგანაც კაპიტალისტური სამყაროს ნანგრევებზე კიდევ უფრო მაღალი ცივილიზაცია აშენდებაო, უპასუხისმგებლოდ იქცევიან, ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ხრუშჩოვმა. რა უფლება აქვთ მათ ილაპარაკონ იმ ხალხთა სახელით, რომლებიც ყოველთვის იყვნენ და იქნებიან უსამართლო მძარცველური ომების მოწინააღმდეგენი? თუ ასეთი მოღვაწენი თავს გვაჩვენებენ, ვითომ არარად მიგაჩნია ჩვენი ბედიო, დაე როგორც უნდა ისე მოეპყრან თავიანთ ბედს, მაგრამ ნუ ცდილობენ სათამაშოდ გაიხადონ მილიონობით ადამიანის ბედი.

დაუშვებელი გულგრილობა იქნებოდა თვალი ხვვერიდებინა იმპერიალიზმის მილიტარისტული წრეების მაქინაციებისათვის, ანგარიში არ გაგვეწია მათი საშიში საქმიანობისათვის, თქვა შემდეგ ამხანაგმა ხრუშჩოვმა. ჩვენ არა გვაქვს უფლება უგულებელვყოთ სახიფათო ხრიკები მილიტარისტებისა, რომელთაც ჯიუტად არ სურთ გამოეთხოვონ ნატოს ეგრეთწოდებული გაერთიანებული ატომური ძალების შექმნის გეგმებს, მაგრამ ჩვენს დროში იმპერიალისტებს არ ძალუძთ თავიანთი თვითნებობით განაგონ ხალხთა ბედი. მსოფლიოში არიან ძალები, რომელთაც შესწევთ უნარი ალაგმონ იმპერიალისტი აგრესორები.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ მზად ვართ ვაწარმოოთ დასავლეთის სახელმწიფოებთან მოლაპარაკება ყველა საკითხზე, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობდა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, განამტკიცებდა სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხებში ასეთივე პოზიცია უკავია იუგოსლავიის მთავრობას.

სოციალისტური ქვეყნები წამყვანი ძალაა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ანტიიმპერიალისტური და მშვიდობისმოყვარე ძალების ფართო ფრონტში.

უკანასკნელ პერიოდში საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოძმე ხალხთა ურთიერთობამ ახალი განვითარება ჰპოვა, აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. მტკიცდება ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობა. ჩვენი ორი ქვეყნის მთავრობები ძირითად საერთაშორისო პრობლემებს ურთიერთგაგებითა და თანხმობით ეკიდებიან. ჩვენ ერთად მოვითხოვთ მშვიდობასა და მშვიდობიან თანაარსებობას, საყოველთაო და სრულ განიარაღებას, კოლონიური სისტემის საბოლოო ლიკვიდაციას, გერმანიის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას. ერთსულოვანი ვართ სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებშიც.

სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების საერთო ამოცანები — აი, ჩვენი საგარეოპოლიტიკური კურსის საფუძველი, ჩვენი მოქმედების მიმართულებისა და ხასიათის განმსაზღვრელი ფაქტორი, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, არ შეიძლება გვქონდეს ძირეული უთანხმოება იუგოსლავიის კომუნისტებთან, რადგანაც ორივე ჩვენი ქვეყანა სოციალისტურია, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

შეიძლება თუ არა ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში იყოს სხვადასხვაგვარი გაგება, სხვადასხვაგვარი მიდგომა ამა თუ იმ საკითხის, ზოგჯერ პრინციპული ხასიათისაც კი, გადაჭრისადმი? შეიძლება.

რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევებში? უნდა მივაღწიოთ ერთიანობას ყველაზე მთავარში, გადამწყვეტში, რაც ჩვენ გვაერთიანებს. ამავე დროს უნდა გამოვიჩინოთ მოთმინება, როცა ვლინდება უთანხმოება ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხებში.

პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება ჩვენს პარტიებს, მუშათა კლასს, რომელმაც ხელთ აიღო ძალაუფლება, ჩვენგან მოითხოვს დიდ თავშეკავებულობასა და მოთმინებას, როცა საქმე ეხება მოძმე პარტიათა გამოცდილების შეფასებას.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმე ახალი საქმეა, იგი ადვილი საქმე როდია, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ხრუშჩოვმა. ბუნებრივია, აქ შესაძლებელია შეცდომები და ხარვეზები. საჭიროა, რომ პარტია ყოველმხრივ აანალიზებდეს თავის საქმიანობას და დროზე ასწორებდეს შეცდომებს. ზოგიერთი მოღვაწე, ცდილობს რა თქვას ახალი სიტყვა მარქსიზმში, აბუჩად იგდებს ობიექტურ კანონებს, უგულებელყოფს მოძმე პარტიათა გამოცდილებას და უშვებს ისეთ შეცდომებს, რომლებიც შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა.

მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ძირეულ საკითხებში ჩვენ თქვენთან ერთად საერთო აზრი გვაქვს, განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. დარწმუნებული ვართ, რომ, თუ მთავარში, გადამწყვეტში პრინციპულ პოზიციებზე ვიდგომებით, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგული ვიქნებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული ვიქნებით, კლასობრივ პოზიციებზე ვიდგომებით, მაშინ ყველა საკითხი სწორად გადაიჭრება.

ყოველი ღონე ვიხმაროთ, თქვა დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა, იმისათვის, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იყოს, ვიდრე დღევანდელია, რომ განმტკიცდეს მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა, გაუმჯობესდეს ჩვენი პარტიების, საბჭოთა კავშირის ხალხებისა და იუგოსლავიის ხალხების, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ხალხის ურთიერთობა, განმტკიცდეს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა. აი, რას მოვითხოვთ ჩვენ!

# ი. ბროზ ტიტოს სიტყვა

ველენის მეშახტეთა წინაშე წარმოთქმული სიტყვის დასაწყისში ი. ბროზ ტიტო გულმხურვალედ მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვს, „ადამიანს, რომელმაც გამოიარა გზა რიგითი მეშახტიდან დიდი საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის პირველი ქვეყნის, ხელმძღვანელამდე“.

სოციალიზმი ჩვენი დროის გადამწყვეტი ძალა გახდა, თქვა შემდეგ ი. ბროზ ტიტომ. ამასთან დაკავშირებით იზრდება სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი სოციალისტური და მსოფლიოს სხვა პროგრესული ძალების პასუხისმგებლობა. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით საბჭოთა ამხანაგებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც სავსებით გასაგები სიმტკიცით აღნიშნავს, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა ახლა მნიშვნელოვნად უნდა განავითარონ თავიანთი ეკონომიური პოტენციალი, მოაწყონ თანამედროვე წარმოება, გააუმჯობესონ მშრომელთა ცხოვრების პირობები ისეთ დონემდე, როგორიც არ ახსოვს კაპიტალიზმს. არის ყველა საჭირო წანამძღვარი იმისა, რომ სოციალიზმმა, უკლასო და უექსპლოატაციო საზოგადოებამ, ბოლომდე ცხადყოს თავისი უპირატესობანი კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში. მხედველობაში გვაქვს რა ეს უეჭველი ჭეშმარიტება, ყველაზე უკეთ შეგვიძლია დავინახოთ, რომ სხვადასხვა ფსევდორევოლუციონერები თავიანთი არქირევოლუციური ფრაზიორობით და არათანმიმდევრული პოლიტიკით არა მარტო ძირს უთხრიან სოციალიზმის მონაპოვრებს, არამედ არღვევენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობას და აფერხებენ კანონზომიერ პროცესებს, რომელთაც მისი გამარჯვებისაკენ მივყავართ.

ჩვენ, იუგოსლავიის კომუნისტები და ხალხები, არ დავიშურებთ ძალღონეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობის დაცვისა და შემდგომი განმტკიცებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ი. ტიტომ. ვიბრძოლებთ იმათი ცდების წინააღმდეგ, ვისაც სურს რევოლუციური საერთაშორისო მუშათა მოძრაობა ააცდინოს მარქსისტულ-ლენინურ გზას და დააყენოს ფსევდორევოლუციურობის გზაზე, რასიზმის, ანარქიზმის გზაზე და ა. შ.

ჩვენ ახლა ვამუშავებთ იუგოსლავიის განვითარების ახალ პერსპექტულ გეგმას, თქვა შემდეგ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

განზრახული გვაქვს გეგმით გავითვალისწინოთ სოციალისტური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება და გაფართოება სოფლის მეურნეობაში.

შეეხო რა ნ. ს. ხრუშჩოვთან მოლაპარაკებას, ი. ტიტომ თქვა:

კმაყოფილებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი შეხედულებანი არსებით საერთაშორისო პრობლემებზე ერთნაირია. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, რომ ჩვენს დროში მსოფლიოს კომუნისტებისა და პროგრესული ადამიანებისათვის, განსაკუთრებით კი სახელმწიფო მოღვაწეებისათვის, არ არსებობს უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ომის თავიდან აცილების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისა და ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცების ამოცანაა.

გამოვლინდა ჩვენი სრული თანხმობა იმ საკითხზე შეხედულებებში, რომ საჭიროა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას სადავო საერთაშორისო პრობლემები, ხალხთა შორის განვითარდეს ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც შეესაბამება როგორც ცალკეული ქვეყნების, ისევე საერთაშორისო თანამეგობრობის თანამედროვე პრობლემებსა და ინტერესებს, განსაკუთრებით კი განვითარების გზაზე დამდგარი ქვეყნებისათვის შემდგომი დახმარების საკითხზე.

ასეთ შეხედულებებს ხშირად ამახინჯებენ სხვადასხვა პოლიტიკური ავანტიურისტები და კონსტრუქციული საერთაშორისო თანამშრომლობის მოწინააღმდეგენი, რომლებიც სსრ კავშირის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და მსოფლიოს სხვა პროგრესული ძალების კონსტრუქციულ პოლიტიკას უწოდებენ რაღაც „კაპიტულაციას კაპიტალიზმის წინაშე“, „რევოლუციური ბრძოლის უარყოფას“ და ა. შ. მსოფლიო არ გაჰყვება და არ შეუძლია გაჰყვეს მათ.

დასასრულ ი. ტიტომ აღნიშნა, თუ რა უნდა განხორციელდეს საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, და თქვა: არის ყველა პირობა, რათა ჩვენი ურთიერთობა რაც შეიძლება უფრო მეგობრული და გულითადი იყოს.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებში

1963 წლის 31 აგვისტოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. ვ. კუუსინენის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად შეტანილი წინადადება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, ხელშეკრულებისა, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა სახელით ხელი მოაწერეს მოსკოვში 1963 წლის 5 აგვისტოს.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დეპუტატმა ა. ა. გრომიკომ.

სხდომაზე გამოვიდნენ კომისიათა წევრები, დეპუტატები ზ. ვ. პუშკარიოვა, ა. ა. არზუმანიანი, ლ. ნ. სოლოვიოვი, ვ. პ. ლეინი, მ. ი. კუჰავა, ს. პ. პავლოვი, პ. ნ. ფედოსეევი, ი. გ. პეტროვსკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა განხილვის შემდეგ ერთსულოვნად მოიწონეს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ და გადაწყვიტეს ურჩიონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ეს ხელშეკრულება.

თავმჯდომარემ, დეპუტატმა ო. ვ. კუუსინენმა ხაზი გაუსვა დადებული ხელშეკრულების დიდ მნიშვნელობას მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის და განსაკუთრებით აღნიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიების ყველა წევრის სრული ერთსულოვნება, როგორც ერთ-ერთი გამოვლინება იმისა, რომ მთელი ხალხი იწონებს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა დეპუტატმა რ. ი. მალინოვსკიმ და სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. დ. მოროხოვმა.

სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარენი ი. ვ. სპირიდონოვი და ი. ვ. პეივე.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და სასამართლო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

1. აბაშიძე ანდრო ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
2. ადამიანი სურენ გევამის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
3. ბუბაშვილი ტარასი სევერიანის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
4. გაჯიევი ნასიბ ყურბანის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
5. გვათუა იპოლიტე ტარიელის-ძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლე
6. გოგაშვილი იოსებ ვასილის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
7. იოსავა გიორგი ყირიმის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე
8. კაჩმაზოვა ვერა ვასილის ასული — სამხრეთ-ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე
9. კობრეიძე ლუბა მოსეს ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
10. მაისურაძე ვლადიმერ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
11. მირიანაშვილი ნინო გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
12. მუშკუდიანი ვიქტორ ვასილის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
13. ნადირაშვილი პავლე ანტონის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განყოფილების უფროსი
14. ნაზარიანი ბალასან თათეოზის ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი
15. პაიჭაძე თამარ ვლადიმერის ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
16. ფალავანდიშვილი აპოლონ ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
17. ქაჯაია სერგო იასონის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე
18. ღვინჯილია ვლადიმერ ნესტორის-ძე — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
19. ღუღუნიშვილი ალექსანდრე არსენის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
20. ცეცხლაძე ნური მამედის-ძე — აჭარის ასსრ ჩაქვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე
21. ცქიტიშვილი გიორგი კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე
22. ხონიაკინა ადელინა ივანეს ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
23. ჯაფარიძე ტოსია მიხეილის ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
24. ჯაჯანაშვილი თეიმურაზ ესტატის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რევიზორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 30 აგვისტო.

## ნ. ს. ხრუშჩოვი ეცნობა სლოვენიას

ბლედი, 31 აგვისტო. საქინფორმის კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და ი. ტიტოვი იუწყებიან:

დღეს დილით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა იოსიპ ბროზ ტიტომ და მათმა მეუღლეებმა გაისეირნეს ბლედის ტბაზე.

ქალაქ ბლედიდან საბჭოთა მთავრობის მეთაური და იუგოსლავიის პრეზიდენტი წავიდნენ ბოხინის ტბაზე, რომელიც ბლედისაგან დაშორებულია 35 კილომეტრით და მდებარეობს თვალწარმტაც ხეობაში. ისინი ეწვივნენ ტურისტულ სასტუმროს „ზლატოროგს“, სადაც მათ გულთბილად მიესალმნენ დამსვენებლები.

ადმინისტრაციის თხოვნით ნ. ს. ხრუშჩოვმა, იოსიპ ბროზ ტიტომ და მათმა მეუღლეებმა ხელი მოაწერეს საპატიო სტუმართა წიგნში.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და იოსიპ ბროზ ტიტო დაბრუნდნენ ბლედში.

ნაშუადღევს ისინი გაემგზავრნენ ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენციაში ბრდოში.

## წლიური დავალება შესრულებულია

ჩაქვის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა მოიპოვეს დიდი შრომითი გამარჯვება. 29 აგვისტოს მათ წლიური გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულეს. ჩაის ფაბრიკებში ჩაბარებულია 26.873 ტონა ჩაის ნედლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 26.820 ტონისა. აქედან პირველი ხარისხის ჩაი ჩაბარებულია 72 პროცენტი. მეურნეობაში ჰექტარობრივმა მოსავალმა 4.596 კგ-ს მიაღწია.

ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობათა მეჩაიეებმა 30 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 9.435 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 9.395 ტონისა. ჩაის ფაბრიკებში გაგზავნილი მოკრეფილი ნედლეულის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბარონ კიდევ 1.500 ტონა ჩაის ფოთოლი.



# მტკიცდება სკოლისა და ცხოვრების კავშირი



[illegible]

შრომას ეწევა მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის, პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. ბევრი მასწავლებელი სწორად და შემოქმედებითად წარმართავს მუშაობას ახალი ამოცანების შესაბამისად და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს მოსწავლეთა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებისა და აღზრდის საქმეში. მაგრამ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმე ყველგან როდი დგას სათანადო სიმაღლეზე.

ბევრ სკოლაში მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონე არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს. მოსწავლეებს მთელ რიგ საგნებში ჯერ კიდევ არა აქვთ საფუძვლიანი ცოდნა, რაც ერთხელ კიდევ დადასტურდა გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებზე გასული სასწავლო წლის ბოლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასაყვანი გამოცდების მოწყობამ საგრძნობად აამაღლა მასწავლებლებისა და მოსწავლეების პასუხისმგებლობა, დიდად შეუწყო ხელი მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას.

გამოცდებზე მაღალი წარმატებები გამოავლინეს ქ. თბილისის I-ლი, მახარაძის, თელავის, ყვარლის და მთელი რიგი სხვა სკოლების მოსწავლეებმა.

ამასთან საგაზაფხულო გამოცდებმა გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანიც.

მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი „შპარგალკებით" სარგებლობის მავნე პრაქტიკა. ზოგან შემჩნეულია დაბალი მომზადება მათემატიკაში და სხვა საგნებში. სწორედ ამიტომ არის, რომ მიუხედავად მოსწავლეთა ცოდნის დონის ერთგვარი ამაღლებისა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა საგრძნობი ნაწილი ძალიან დაბალ ცოდნას ამჟღავნებს.

ახალი სასწავლო წლის უპირველესი ამოცანაა მკვეთრად ავამაღლოთ მოსწავლეთა მომზადების დონე. თვითეულ სკოლას, თვითეულ მასწავლებელს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანა იყო და ყოველთვის დარჩება მოსწავლეთა შეიარაღება მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით.

სწორედ ამას ითვალისწინებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება, რომელიც მთელ რიგ კონკრეტულ ამოცანებს უსახავს სკოლას სწავლებისა და შრომის შეერთებაში, სწავლებისა და აღზრდის დაშორიშორების მავნე პრაქტიკის აღკვეთაში.

განათლების სამინისტროს, მისი პედაგოგიკურ მეცნიერებათა და დახელოვნების ინსტიტუტების, განათლების ადგილობრივი ორგანოების მოვალეობაა პრაქტიკულად დაეხმარონ მასწავლებლებს მათ წინაშე მდგომი ახალი რთული ამოცანების სწორად გადაწყვეტაში.

ზაფხულის არდადეგების დროს მასწავლებელთა გადამზადების კურსები გაიარა 8 ათასზე მეტმა მასწავლებელმა. ადგილებზე სისტემატურად ეწყობა სემინარები, იკითხება მოხსენებები და

## დაეუფლეთ ცოდნას, გიყვარდეთ შრომა!

**თ. ლაშქარაშვილი,**
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

[illegible]

ხელიხელჩაკიდებული უნდა აკეთებდნენ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საპატიო საქმეს — მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

ახალი სასწავლო წლიდან ძირითადად ყველა 1.114 საშუალო სკოლა გადაყვანილი იქნება საწარმოო სწავლებაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების შესწავლასთან ერთად საწარმოო სწავლებას გაივლის 100 ათასზე მეტი IX—XI-კლასელი მოსწავლე.

აღნიშნული კონტინგენტისათვის სახალხო მეურნეობის საბჭოს, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების დახმარებით ბევრგან მოწყობილია სრულყოფილი სასწავლო-საწარმოო ბაზა.

ამასთანავე ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს საწარმოო სწავლების დარგში, იგი ხშირად პრიმიტიული და ფორმალურია. ჩვენი ამოცანაა სახელმწიფოებრივი წესრიგი დავამყაროთ მოსწავლეთა შრომითს აღზრდაში.

ახალი სასწავლო წლიდან ცდის სახით განზრახული გვაქვს ზოგიერთ სკოლაში საწარმოო სწავლება კონცენტრირებული წესით შემოვიღოთ, ე. ი. ნაცვლად ყოველ კვირაში ორი დღისა IX—XI კლასებში საწარმოო სწავლება მოეწყობა დროის გარკვეულ მონაკვეთში, ხოლო სასწავლო წლის დანარჩენი დრო მთლიანად დაეთმობა სწავლებას. აგრეთვე გადაისინჯება საწარმოო სპეციალობები მათი უფრო სწორად განსაზღვრის თვალსაზრისით. სოფლის სკოლებში საჭიროდ მიგვაჩნია მკვეთრად გავაუმჯობესოთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შესწავლა მოსწავლეების მიერ.

ახალ სასწავლო წელს თბილისში ყალიბდება საშუალო სკოლა დიფერენცირებული სწავლებით IX—XI კლასების შემადგენლობით, მათემატიკისა და ფიზიკის განხრით.

ხასიამოვნო იყო, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მაღალი ტრიბუნიდან გამოჩენილმა საბჭოთა კომპოზიტორმა ტიხონ ხრენიკოვმა შეაქო საქართველოს სკოლები მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდის საქმეში გარკვეული მიღწევების გამო. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის დარგში ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები გვაქვს. ჩვენი მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, კინოსა და თეატრის მუშაკები ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან სკოლის წინაშე, ახალგაზრდობის წინაშე. ახალგაზრდათა გულში გმირობისადმი მისწრაფების ცეცხლის გაღვივებას, დიადი სამშობლოსადმი აქტიური და ქმედითი სიყვარულის გრძნობის ჩანერგვას, უფროსი თაობების შთამაგონებელი მაგალითით გატაცებას მხოლოდ ის ნაწარმოებნი შეძლებენ, რომლებიც აშუქებენ ჩვენი ცხოვრების მაღალ და კეთილშობილურ სიმართლეს, ახალი საზოგადოებისათვის საბჭოთა ხალხის რევოლუციური ბრძოლის ჰეროიკასა და რომანტიკას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბავშვო და ახალგაზრდობის წიგნების, პიესების, კინოფილმების შექმნას. იმედია, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ახალი, მაღალხარისხოვანი ნაწარმოებებით უპასუხებენ ამ ამოცანას.

ჩვენს მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების განხორციელება. გასულ სასწავლო წელს მთლიანად დასრულდა ყველა შვიდწლიანი სკოლის გადაკეთება რვაწლიან სკოლად. ბოლო წლებში საგრძნობად გაფართოვდა სკოლების ქსელი, რამაც უზრუნველყო სკოლის დაახლოება მოსწავლის საცხოვრებელ ადგილთან. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის ზრდამ, სკოლების მატერიალური და სასწავლო ბაზის განმტკიცებამ, სკოლა-ინტერნატებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელის გაშლა-განვითარებამ მოსწავლეთა კონტინგენტის დიდი ზრდა გამოიწვია და შექმნა იმის პირობები, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ არამარტო რვაწლიანი განათლება მიიღოს, არამედ განაგრძოს სწავლა საშუალო სკოლების IX—XI კლასებში.

და მართლაც, უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით გასულ სასწავლო წელს, წარმატებით სრულდება მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. მაგრამ, როგორც აღინიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის პირველმა სესიამ, რომელმაც სპეციალურად განიხილა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საკითხი, მოსწავლეთა ჯერ კიდევ საგრძნობი ნაწილი რვაწლიან სკოლას ვერ ამთავრებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბოლნისის, ახალქალაქის, დუშეთის, თეთრი წყაროს რაიონების, აგრეთვე აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთელ რიგ სკოლებში.

ახალი სასწავლო წელი უნდა დავიწყოთ იმისათვის ზრუნვით, რომ სასკოლო ასაკის არც ერთი ბავშვი და მოზარდი არ დარჩეს სკოლის გარეთ.

რვაწლიანი საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების საქმეში დიდ როლს ასრულებენ საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. უკანასკნელ წლებში საგრძნობად გაიზარდა წარმოებაში მომუშავე საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდობის სწრაფვა ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებისაკენ. თუ, მაგალითად, 1953-1954 სასწავლო წელს რესპუბლიკაში იყო 69 მუშა-ახალგაზრდობის სკოლა 13.752 მოსწავლით, გასულ სასწავლო წელს მუშაობდა 142 სკოლა, რომლებშიც 25.825 ახალგაზრდა სწავლობდა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

ახალი სასწავლო წლიდან მსხვილ საწარმოებთან, ქალაქებისა და რაიონების ცენტრებში მომუშავე იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც რვაწლიანი განათლება არა აქვთ, არიან 18 წლისა და მეტი ასაკისა, და აქვთ სულ მცირე ერთი წლის საწარმოო სტაჟი, — საღამოს სკოლებში მოეწყობა დაჩქარებული სწავლების V—VIII კლასები, ანუ 4 წლის ნაცვლად V—VIII კლასების პროგრამა განაწილდება 2,5 წელზე.

სახალხო განათლების სისტემის სრულყოფა მოითხოვს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას. 1960-1963 წლებში სასკოლო მშენებლობაზე მარტო განათლების სამინისტროს ხაზით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები ათჯერ აღემატება ამავე მიზნით 1956-1958 წლებში დახარჯულ ასიგნობებს.

ამავე დროს სკოლისათვის ზრუნვა ნამდვილად იქცა სახალხო საქმედ. სასკოლო შენობათა ფონდს დიდი რაოდენობით შემატა საწარმოებისა და კოლმეურნეობების შრომითი მონაწილეობით აგებული, კეთილმოწყობილი სასკოლო შენობები ათასობით მოსწავლის ადგილით. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ისახელეს თავი აჭარის ასს რესპუბლიკამ, ქალაქებმა ქუთაისმა და რუსთავმა, მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, სიღნაღის, ტყიბულის, ლანჩხუთის, გურჯაანის, თელავის რაიონებმა და რესპუბლიკის ზოგიერთმა სხვა ქალაქმა და რაიონმა. მაგალითად, გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობა ამთავრებს სასკოლო შენობას 880 მოსწავლისათვის. დიდ, ლამაზ შენობას გადასცემს სკოლას მიმდინარე წელს მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობა. კოლმეურნეები თავიანთი სახსრებით აშენებენ სასკოლო შენობას აგრეთვე წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში და სხვ.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როდი მოხერხდა ჩვენი ბავშვების სწავლებისა და აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა. ბევრი სკოლა ორ ცვლად მუშაობს, არა აქვს სახელოსნოები, სასპორტო დარბაზები, სასწავლო კაბინეტები. სკოლების საგრძნობი ნაწილი მოთავსებულია დაქირავებულ ბინებში, ძველ, უვარგის შენობებში.

და მით უმეტეს შეუწყნარებელია, რომ რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, არ უზრუნველყოფენ სასკოლო მშენებლობის გეგმების შესრულებას, როგორც ამას ადგილი აქვს ახალქალაქის რაიონის სოფლების ეფრემოვკის, ეშტიის, აბულის, თეთრი წყაროს რაიონის სოფ. კარიაკის, მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ფერეთას სკოლების მშენებლობაში.

იწყება ახალი სასწავლო წელი. ჩვენი მასწავლებლების დიდი არმია კვლავ შეუდგება თავისი რთული და საპატიო მოვალეობის შესრულებას.

განათლების მუშაკების, თვითეული მასწავლებლის ვალია აღუზარდონ სამშობლოს ყოველმხრივ განათლებული და კულტურული ახალგაზრდობა.

სწორედ ამ რწმენით ვიწყებთ ახალ სასწავლო წელს. სრულ იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებლობა, შეიარაღებული პარტიის XXII ყრილობისა და ივნისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, პირნათლად შეასრულებს მის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანას — კომუნისტურად აღზარდოს მოზარდი თაობა.

## სექტემბერი მოფრენილა...

სექტემბერი მოფრენილა, ვით მერცხალი მაისის,
გულში სიტკბო მოფენილა, მკერდო, განზე გაიწი!
აწკრიალდა სკოლის ზარი, ახმაურდნენ მერხები,
ეს რა ტკბილი დილა არის? ერთურთს ჰკოცნით, ეხვევით.
მაგ მერხებმაააფრინეს ის მამაცი ფრთოსნები,
ვინაც სიტკბო გვაგრძნობინა, აამღერა მგოსნები.
სამყარო კვლავ გაოცებით თვალებს აპყრობს ზეციერს...
მათ მსოფლიო აღტაცებით ხელებს უწვდის: გვეწვიეთ!
მაგ სკოლაში აღიზარდნენ, ვინც ყამირი დალაშქრა,
ველებს ციმბირ-ყაზახეთის ვინც ქამანდი გადაჰკრა.
ერთი შეხეთ, ვინ არიან, ერთ დროს თქვენებრ პატარებს,
ვინც გოლიათ მდინარეებს დღეს სულ სხვა გზით ატარებს,
ვინაც ქვეყნად მშვიდობის და შრომის არწივებია,
ვისი დროშაც მთებს კი არა, ზეცას ასცილებია.
ხვალ თქვენ გელით ქვეყნის საჭე, ბეჯითებო სწავლისა,
გმირობა და სიმამაცე, გზა ნათელი ხვალისა.

**ვ. ხუცურაული.**
დუშეთის რაიონი, სოფელი ხორხი.

## ცოდნის აკვანი

[illegible]

და თქვენს საყვარელ სკოლაში ზარი აწკრიალდება...

გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, ჩემო საყვარელო ბავშვებო!

**მართა ტყავაძე,**
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი.
ქ. სიღნაღი.



კარგი საჩუქარი მიიღეს თბილისის ლენინის რაიონის მოსწავლეებმა. ხუდადოვის ქუჩაზე აღიმართა საშუალო სკოლის შესანიშნავი შენობა.

**სურათზე:** მე-5 საშუალო სკოლის ახალი შენობის ხედი.

ფოტო გ. გოგოხიასი.




სოფელი მეკეიძეები სადღაც უკაცრიელ კუნძულთან გარიყული გემივით მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას. ზემო აჭარის ამ მიყრუებულ სოფელსაც მისწვდა მუსლიმანთა სისხლიანი ტალღა, სამ საუკუნეს წყვდიადი იდგა, მერე საბჭოების მზემ ნათელ სხივებში გახვია მთა-ველი, მაგრამ ადამიანთა გონებიდან უეცრად ვერ აღმოიფხვრა უცხო ადათ-წესები.

მეკეიძეებში პირველი ქალი, რომელიც შეეცადა გაეფანტა ეს ჩამოწოლილი ნისლი, იყო მასწავლებელი თამარ ვანაძე. მას ახლა თანასოფლელები მეტსახელად სინათლეს ეძახიან. დიახ, ახლა...

მაგრამ იმხანად ცდილობდნენ გაუკვლავი ბილიკისათვის აეცდინათ, სხვა ქალიშვილებივით მონა-მორჩილებაში ჰყოლოდათ. მაინც თავისი გაიტანა. დგას მოგებული ბრძოლით ბედნიერი, იღიმება და ოცნებით გასცქერის განვლილ გზას...

სოფელს ასეთი ადათი ჰქონდა და ახმედმაც გადაწყვიტა გაეთხოვებინა თხუთმეტი წლის თამარი. საქმრო მოვიდა... თამარს ან ჩადრი უნდა ჩამოეფარებინა სახეზე და მთელი სიცოცხლე უღიმღამოდ, გაუხარებლად გაეტარებინა ან... სახლის უკან კარი უხმაუროდ გააღო, კოკას დასტაცა ხელი, თუ დამინახეს, წყალზე მიმავალი ეგონებითო, გაიფიქრა და ეზოში გაუჩინარდა.

სახლში ამაოდ ელოდნენ...

აყაყანდნენ მეზობლები, ასეთ სამარცხვინო ამბავს არ შევსწრებივართო. მერე ახმედი აავსეს საყვედურებით, თავისუფლად ზრდიდი შვილს, სკოლაში უშვებდი, ხედავ, იქ ვიღაცა შეუყვარებია და თავი როგორ მოგჭრაო.

— ვიცი, ვინც უყვარდა, — უპასუხა მათ ახმედმა, — ახლა ვნანობ, რომ ვუშლიდი...

— ვინ არის? მდიდარია? — არ მოეშვნენ ცნობისმოყვარენი.

— ო, ძალიან, ძალიან მდიდარია! — გაიღიმა ახმედმა, — თამარს სწავლა სწყუროდა, სკოლა უყვარდა...

მეზობლებმა უკმაყოფილოდ აიჩეჩეს მხრები. შენი ჭირი ჩვენც არ გადმოგვედოსო, სასწრაფოდ გაშორდნენ შვილის გაქცევით დაღონებულ ახმედს. მერე კიდევ უფრო ჩაკეტეს თავიანთი ქალიშვილები, ჩვენს უკითხავად ფეხი არსად გადადგაო.

შვილის კვალს ძლივს მიაგნო ახმედმა. თამარს სახიდან მოეძრო ყორნისფერი ჩადრი, მოსწავლის ფორმა ეცვა, იდგა ტოლებში და იღიმებოდა...

— მაინც ვინ მოგაწყო აქ? — ჰკითხა გაკვირვებულმა ახმედმა მამასთან უეცრად შეხვედრით შეცბუნებულ ქალიშვილს.

— რაიკომის მდივანმა, — მორცხვად უთხრა თამარმა. — იმ დღეს პირდაპირ მასთან მივედი და, როგორც ხედავ, ახლა ხულოს სკოლა-ინტერნატში ვსწავლობ...

წავიდა ახმედი და მერე არც მოუკითხავს...

„... ისევ მარტო დავრჩი, — დადარდიანდა გოგონა, — მაგრამ ვისწავლი, მასწავლებელი გავხდები და ჩემს სოფელში შევიტან კულტურასა და განათლებას!" — ქალიშვილს ტკბილ ოცნებაში ბევრჯერ თავზე თეთრად დასთენებია ღამე.

არა, მარტო არ დარჩენილა თამარი. მასწავლებლები, თანაკლასელები მშობლიურ სითბოს არ აკლებდნენ „ცხრა მთიდან მოფრენილ ფერიას"... სიხარულით სახეგაწითლებულმა თამარმა სიმწიფის ატესტატი რომ მიიღო, ერთ-ერთი აღმზრდელი შეეკითხა:

— რა გადაწყვიტე, რა გზას გინდა დაადგე?

— ო, როგორ მწადია, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდე. მაგრამ... — თავი ჩაღუნა თამარმა...

— მაგრამ რა?

— ფული, ტანსაცმელი, რაღაც-რაღაცეები ხომ მესაჭიროება... — სიტყვას ვერც ახლა ამთავრებს თამარი, მორცხვად რომ მიუყუჟულა კუთხეში და ხელში კალმისტარს ათამაშებს.

... განათლების რაიონულმა განყოფილებამ ერთდროული ფულადი დახმარებით გაახარა თამარი. დაეხმარნენ მეგობრებიც, სკოლაც, და აი ფრიადოსანი თამარი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია!

შიში და ეუშინდელი მძიმე დღე წარსულს ჩაბარდა. თამარმა თავისი გზა იპოვნა, შეჰხარის მომავალს, მაგრამ მშობლიური სოფლის, მამის სახე თვალწინ რომ დაუდგება, მოიღრუბლება, სევდა შემოაწვება...

ასე გაფრინდნენ წლები.

უკანასკნელი სახელმწიფო გამოცდა ჩააბარა, სირბილით დაეშვა კიბეზე და...

— შენ საით? — ჰკითხა ანაზდად თანაკურსელმა გოგონამ.

— სოფელში, ჩემს საყვარელ სოფელში! — უპასუხა თამარმა, მერე ჩაფიქრდა, — როგორ შემხვდება მამა, ოღონდ პირველ დღეს არ შემაქციოს ზურგი, არ ამიჯანყოს სოფელი და მერე მე ვიცი...

მეკეიძეებში პირველი ქალი იყო თამარი, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი ჰქონდა. მამამ ღიმილით მკერდზე მიიკრა „დაკარგული" შვილი, დედინაცვალმაც მიულოცა, მაგრამ იგი წარსულს ჟერაც ვერ შელეოდა და უკანასკნელ მიდაზე ჩაცმულ თამარს რაღაც ეჭვის თვალით შესცქეროდა...

ავისმომასწავებლად დუმდა სოფელი. მაგრამ არც ამის შეშინებია თამარს. პირველ დღესვე მოსწავლეთა კრება მოიწვია სკოლაში და მტკიცე ხმით განუცხადა მათ ეყიდათ ფორმები, გოგონებს თმა დაეწნათ და უჩადროდ გამოცხადებულიყვნენ...

— აბა რას ჰგავს ეს! — არც ბიჭები გამორჩენია ახალგაზრდა მასწავლებელს, — მამა-პაპათა დახეული ქურთუკები გაცვიათ, თმას არ ივარცხნით, კლასში ქუდებით სხედხართ...

... და უფრო დაფრთხნენ მშობლები, შვილებს აუკრძალეს იმ სკოლაში სიარული, სადაც „ქალაქელი" თამარ ვანაძე ასწავლიდა. ამის გამო ბავშვების გამოკლების შიშმა თამარისათვის საყვედური ათქმევინა სკოლის დირექტორს. შემდეგ რომ დარწმუნდა მის სამართლიანობაში, მხარში ამოუდგა, კომკავშირელ მასწავლებელთა კრებაზე ორგანიზაციის მდივნად დაასახელა თამარი.

ფორმებისათვის შეძენილ იქნა ქსოვილი, მაგრამ შეკერვა?.. თამარს აქ დიდად გამოადგა ის, რომ ინსტიტუტში სწავლასთან ერთად ჭრა-კერვის კურსებიც დაამთავრა. კაბები თავისი ხელით უსასყიდლოდ შეუკერა გოგონებს.

თამარის ანთებულმა სინათლემ სოფელი გაანათა. ახლა ისე შეიცვალა სოფელი მეკეიძეები, რომ ვეღარც კი იცნობს, ვისაც დიდი ხნის წინათ უნახავს.

— მომავალი თაობის კომუნისტური ხელისკვეთებით აღზრდისათვის კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, — გვეუბნება თამარი და გზად მიმავალ დედასა და შვილზე მიგვითითებს. დედას სახეზე ხელი აუფარებია, გოგონას კი თუმცა ჩამოუხსნია სახიდან რიდე, მაგრამ საოცრად გრძელი კაბა, კოჭებამდე რომ სწვდება, ხომ წყეული ადათით არის ნაკარნახევი...

... და თამარიც სოფლის კომუნისტებთან ერთად მთელი ენერგიით იღვწის, რომ საბჭოთა ყოფის ჩირაღდანმა კიდევ უფრო გაანათოს მეკეიძეები.

**აკაკი ჯიქია.**
მხატვ. ლია სვანიძე.



## კოლხეთის ცისკარი

ხვალ სწავლა იწყება. ეს კი, თუ შეიძლება ითქვას, ცისკარია კოლხეთისა.

...ხვალ ოქროსფერი ზარები ცოდნის ტაძარში მოუხმობენ მოსწავლეებს. ხელჩანთიანი გოგონები და ბიჭუხები სკოლის ეზოში შეაბიჯებენ. ბევრ მათგანს პირველად გააცილებს მშობლის თბილი ალერსი.

როგორ ხვდებიან ახალ სასწავლო წელს ფოთის სკოლები?

შეიძლება ითქვას, რომ ჩინებულად. განსაკუთრებით პირნათელი არიან ბავშვების წინაშე ქალაქის მეორე საშუალო სკოლის დირექცია და მშობელთა კომიტეტი.

ახალი სასწავლო წლის დაწყების წინადღეს ამ სკოლას ვესტუმრეთ.

მხიარული სახით შემოგვეგება სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი პორფირე ბარამიძე.

მერე ვესაუბრეთ, სკოლის შენობის ყველა კუთხე-კუნჭული დავათვალიერეთ.

ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი ტრადიციების სკოლაა ფოთში. აქ 990-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. სწავლების დონე მაღალია. სკოლას ძლიერი პედკოლექტივი ჰყავს. 52 მასწავლებლიდან სამი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო სახელს ატარებს. მიმდინარე წელს ხუთმა ახალგაზრდა მასწავლებელმა აიმაღლა კვალიფიკაცია.

პირველკლასელებს წელს მეცხრამეტედ ელის მასწავლებელი ნინო მიქავტაძე. იგი შარშან მეოთხე კლასს ასწავლიდა. ისეთი მოსწავლე, რომელსაც რომელიმე საგანში წარმატება არ ჰქონდა, ნინოს არ ჰყოლია. შარშან მეოთხე კლასი თვრამეტმა ხუთოსანმა და 7-მა ოთხოსანმა დაამთავრა. 8 მოსწავლემ კი საშუალო შეფასება მიიღო.

ქების ღირსია დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ნუშო ქორქია. ნუშო 26 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურება ბავშვების აღზრდის საქმეს. ამ ახალ სასწავლო წელს ნინო მიქავტაძეს და ნუშო ქორქიას 60-ზე მეტი მოსწავლე ეყოლებათ. სულ კი აქ პირველად სკოლის კარს 130-ზე მეტი ბავშვი შეაღებს.

სწორედ მეორე სკოლაზე შეიძლება ითქვას, ახალ სასწავლო წელს ყოველმხრივ მომზადებული ხვდებაო. მიმდინარე რემონტი დროულად დაიწყო და დროულად დამთავრდა. შეკეთდა მერხები, მაგიდები, დაფები. დამატებით შეძენილ იქნა 1.200 მანეთის ინვენტარი.

კაბინეტ-ლაბორატორიები 600 მანეთის ხელსაწყო-იარაღებით შეივსო, ხოლო სპორტდარბაზს 400 მანეთის ინვენტარი მიემატა. გამდიდრდა სადურგლო, საზეინკლო და სახარატო სახელოსნოები.

ქალაქის ყველა სკოლის 7 ათასზე მეტ მოსწავლეს ელოდება ნორმალური სწავლის პირობები.

ქალაქის 7 საშუალო, 2 რვაწლიან და 2 დაწყებით სკოლაში გაკეთდა მიმდინარე რემონტი, რაზეც გეგმით გათვალისწინებული 15 ათასი მანეთი მთლიანად აითვისეს. სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის შეიძინეს 25 ათასი მანეთის მოწყობილობა. ამდენივე თანხა დაიხარჯა საჭირო მაგარი ინვენტარის შესაძენად.

ხვალ ზარის პირველ წკრიალზე ნათელ საკლასო ოთახებში შავთვალწარბა გოგონები და ბიჭუნები მიუსხდებიან მერხებს.

მალთაყვის დასაწყისთან, მწვანე ხეივანთა ლამაზ ტევრში, სადაც დღენიადაგ ქრის ზღვის და პალიასტომის მონაბერი ნიავი, გაშენებულია სკოლა-ინტერნატის სასწავლო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მთლიანი კომპლექსი. იგი ხვალ პირველად გაუღებს კარს მოსწავლეებს. ორსართულიან სასწავლო კორპუსს მარჯვნივ მხარს უმშვენებს სასადილო საზამთრო დარბაზითა და საზაფხულო აივნით, ხოლო მის გასწვრივ მნახველთა ყურადღებას იპყრობს სამსართულიანი შენობა, სადაც ერთდროულად იცხოვრებს, გაკვეთილებს მოამზადებს, გაერთობა და დაისვენებს 420 მოსწავლე. სხვა ნაგებობებიც ერთმანეთის მიყოლებით არის ჩარიგებული.

იმაზე, თუ როგორი იქნება სკოლა-ინტერნატის პირველი სასწავლო წელი, მისმა დირექტორმა შ. დარჩიამ ასეთი განმარტება მოგვცა:

სწავლის ნორმალური დაწყებისათვის რაიმე შემაფერხებელი მიზეზი არ არის. სკოლა-ინტერნატი 420 მოსწავლისათვის არის დაგეგმილი, მაგრამ პირველ სასწავლო წელს ჩვენთან ისწავლის I-VII კლასების 220 ბავშვი. მოსწავლეთა კონტინგენტი ძირითადად ადგილობრივი ბავშვებით დაკომპლექტდა.

მართალია, ჩვენ მომზადებული ვიწყებთ ახალ სასწავლო წელს, მაგრამ ზოგი რამ შემდგომისათვის კიდევ გვაქვს გასაკეთებელი, კერძოდ, უფრო კეთილმოწყობილი უნდა გავხადოთ ეზო, შევავსოთ ინვენტარი, დამატებით დავდგათ სასადილოში დიდი ტევადობის მაცივარი, ავაშენოთ ყველა სახის სპორტული მოედანი და სხვ. ცხადია, ამ საქმეში მეტი დახმარების გაწევა გვჭირდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და მისი მომარაგების ბაზებისაგან.

**გ. ნოდია,**
**ქ. კომახიძე.**



ეს ახალგაზრდები საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოვიდნენ კოლმეურნეობებიდან, ფაბრიკა-ქარხნებიდან. ზოგიერთი პირველი კლასიდანვე ფრიადოსანი იყო. ისწავლეს, იშრომეს და დაიმსახურეს კიდეც სტუდენტობა, აი ისინიც.

**სურათზე:** მარცხნიდან მარჯვნივ ა. სურგულაძე (მუშა, ბათუმიდან), ვ. კაპანაძე (კოლმეურნე, საჩხერიდან), რ. შიშინაშვილი (მუშა, თბილისიდან), ი. ჰილაშვილი (კოლმეურნე, ახმეტიდან), ჯ. მელიაშვილი (მუშა, სართიჭალიდან), მ. ლეკიშვილი (სწავლის ფრიადოსანი, მარტყოფიდან), ვ. მოროზოვი (მუშა, რუსთავიდან) და ლ. უხურგუნაშვილი (თბილისიდან).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## მეოთხმოცედ

ოთხმოციანი წლების დასასრულს და 90-იანი წლების დასაწყისში დუშეთის მაზრაში, რომელიც სასკოლო ასაკის ორივე სქესის 56.764 ბავშვს ითვლიდა, ერთი სკოლა არსებობდა. გასაგებია, რომ ღარიბი გლეხის შვილებს არავინ მიიღებდა. გლეხობის გაუნათლებლობის გამო კი მეურნეობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

იმდროინდელ პირობებშიც იყვნენ ხალხისათვის გულშემატკივარნი, რომელნიც ჩაგრული და უსწავლელი ხალხის გაჭირვებას თანაუგრძნობდნენ. სწორედ ამ მაზრის მცხოვრების, გამოჩენილი მამულიშვილის ილია ივანეს-ძე წინამძღვარიშვილის ინიციატივით სოფელ წინამძღვრიანთკარში, საგურამოს ახლოს, დაარსდა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ეს იყო 1888 წელს. სოფელ წინამძღვრიანთკარში (დუშეთის რაიონი) ქართულ ენაზე სკოლის გახსნის დღე გადაიქცა სიხარულისა და ზეიმის დღედ. სოფლის ამ ზეიმს ესწრებოდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვ. სკოლის საზეიმოდ გახსნისას ილია ჭავჭავაძემ სიტყვა წარმოთქვა და ამ სკოლას ცოდნის აკვანი უწოდა.

...აინთება აქ ის სახიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს, რომელსაც ცოდნა ჰქვია. აი, ამ პატარა სახლიდან გამოდის ის დიდი ღონე, ის დიდი ზეიმი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებული ფარხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვია. მაგას მიიტანენ ჩვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანას ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ... — ამბობდა დიდი ილია.

აი აქ, ამ სახელოვან სკოლაში, რომელსაც ახლა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ჰქვია, ხვალ მეოთხმოცედ დაირეკება სექტემბრის ზარი. იგი გადაიქცა კადრების სამჭედლოდ და სამშობლოს უზრდის საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

ხვალ 90 ახალი მოსწავლე მიუსხდება მერხებს. ისინი 300-მდე „ძველ" მოსწავლესთან ერთად გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით ისწავლიან კეთილმოწყობილ კაბინეტ-ლაბორატორიებში და სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე.

**ზ. ჯალიაშვილი,**
ტექნიკუმის მასწავლებელი.

## მოდის ახალი ნაკადი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — მეცნიერების ტაძარი. აქ იღებს ახალგაზრდობა ცხოვრების დიდ საგზურს. ათეულათასობით სპეციალისტი, მეცნიერი მუშაკი გამოსულა ამ შენობიდან. ვინც ამ კედლებს შორის აღზრდილა, მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ეს თეთრი სახლი, რომელიც ასე მომხიბლავად აღმართულა ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე. ხვალ ჩვენი ქვეყნის სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები ფართოდ უღებენ კარს მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტობას. მოდიან ბედნიერი ღიმილით ჭაბუკები და ქალიშვილები. ახალბედა სტუდენტები მორიდებულად მოდიან, გაივლიან დერეფნებს, მიაშურებენ აუდიტორიებს.

გაივლის წლები... დღევანდელი პირველკურსელები დიპლომით დაუბრუნდებიან ქარხნებსა და ფაბრიკებს, თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

**დ. ჩაკაბერია,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების I კურსის სტუდენტი.

საერთაშორისო ცხოვრება

# ხალხს მშვიდობა სურს

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. (საკდესი). ქალაქ სან-ფრანცისკოს გაზეთ „კრონიკლმა“, გაითვალისწინა რიგითი ამერიკელების მზარდი მისწრაფება მთელი მსოფლიოს მშვიდობისადმი, მოახდინა თავისი გაზეთის მკითხველების გამოკითხვა და ამ გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა.

მკითხველებს მისცეს შემდეგი შეკითხვები: მხარს უჭერენ თუ არა ისინი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებას და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა და ნატოს ქვეყნებს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ, სამხედრო ბიუჯეტების შემცირების ან გაყინვის შესახებ, ორი გერმანული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელთა ჯარების რიცხვის შემცირების და უატომო ზონების შექმნის შესახებ.

გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ (87 პროცენტი) უპასუხა, რომ მათ სურთ ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მოახდინოს ხელშეკრულების რატიფიკაცია. გამოკითხულთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებების მიღებას.

ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადებას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 69 პროცენტმა.



უნგრეთი. ზღვა სიხარულს გვრის ბავშვებს ოზდის თოჯინების თეატრის სპექტაკლი.

## მეცნიერთა მოწოდება

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ დღევანდელ ნომერში მთელი გვერდი უკავია 52 თვალსაჩინო ამერიკელი მეცნიერის განცხადებას. განცხადების ავტორები, რომელთა შორის 18 ნობელის პრემიის ლაურეატია, მოუწოდებენ ამერიკელ ხალხს „დაუყოვნებლივ დაუჭიროს მხარი“ მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ამერიკელი მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თუმცა „მათ აქვთ სრულიად სხვადასხვა შეხედულება თითქმის ყველა შესაძლო საკითხზე“, „ყველა ეთანხმება იმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს და აუცილებელია მხარდაჭერა, რომელიც საჭიროა გაეწიოს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ“. ჩვენ, განაგრძობენ ისინი, ამ საკითხში გვაერთიანებს შემდეგი უცილობელი ფაქტები:

1) ეს ხელშეკრულება შეამცირებს ატომური ომის შესაძლებლობას;

2) ეს ხელშეკრულება ხელს შეუშლის ატომური იარაღის გავრცელებას არაატომურ სახელმწიფოებში;

3) ეს ხელშეკრულება უკეთეს ვითარებას შეუქმნის ორივე მხარეს გამალებული შეიარაღების შეჩერებისათვის;

4) ეს ხელშეკრულება დაგვიცავს ჩვენ და ჩვენს ბავშვებს რადიოაქტიური ნალექებით გამოწვეული რადიაციის დამატებითი დოზების გამოსხივებისაგან“.

## მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 31 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს მოწოდებით, რომ აღადგინოს უცხოეთისათვის „დახმარების“ თავდაპირველ ასიგნებათა ის ოდენობა, რომელიც მთავრობამ წამოაყენა და რომელიც კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ შეამცირა თითქმის 600 მილიონი დოლარით.

ამერიკელმა ხალხმა უნდა შეიგნოს, განაცხადა კენედიმ, რომ ეს შემცირება გავლენას მოახდენს „უშიშროებასა და ძალთა წონასწორობაზე“ მთელ მსოფლიოში. უცხოეთისათვის ამერიკის „დახმარების“ შემცირება“, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, „სერიოზულად შეზღუდავდა ჩვენს უნარს გავლენა მოგვეხდინა მოვლენებზე“.

## მოსკოვი-ვაშინგტონი

მოსკოვი, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს 11 საათზე მოსკოვის დროით ამუშავდა სადღეღამისო მოქმედების პირდაპირი სატელეგრაფო კავშირი მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის (კრემლი — თეთრი სახლი). კავშირი გაიხსნა იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც დადებულია 1963 წლის 20 ივნისს ჟენევაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის.

## ავბედითი გეგმები

ჰავანა, 30 აგვისტო. (საკდესი). მექსიკის ყოველკვირეულმა „პრენსა ლიბრემ“ გამოაქვეყნა ჟურნალისტ ხოსე კორდოვა ბონიჩეს სტატია იმის შესახებ, რომ კუბელი კონტრრევოლუციონერები და მათი ბატონები ამერიკის შეერთებულ შტატებში ამზადებენ ახალ შეჭრას კუბაში, იუწყება პრენსა ლატინას სააგენტო მეხიკოდან.

კორდოვა ბონიჩე წერს, რომ ნიკარაგუაში, გვატემალაში, ჰონდურასსა და პანამაში ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, გამოძიების ფედერალური ბიუროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით შექმნილია სამხედრო ბაზები. დაგეგმილია ამ ბაზებიდან მოეწყოს ახალი კონტრრევოლუციური შეჭრა სოციალისტურ კუბაში.

„შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ც აგრეთვე ათასობით დაქირავებულია, რომლებიც სპეციალურ წვრთნას გადიან ავბედითი ოპერაციაში მონაწილეობისათვის მომზადების მიზნით“, — წერს შემდეგ კორდოვა.

„ეს ხდება მიუხედავად პრეზიდენტ ჯონ კენედის განცხადებისა ჩაურევლობის პრინციპის პატივისცემის შესახებ“.

სტატიის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კუბის საწინააღმდეგო ახალ ავანტიურას შეერთებული შტატები აფინანსებენ. კერძოდ, ნაცისტურ-მაკარტისტულმა „ჯონ ბერჩის საზოგადოებამ“, წერს კორდოვა, მნიშვნელოვანი თანხები გამოჰყო ამ მიზნით. წარსულ თვეში ლუის სომოსას (ნიკარაგუის ყოფილი დიქტატორი, ამჟამად კუბის მოწინააღმდეგე ნაძირალათა ერთ-ერთი მეთაური. — რედ. შენიშვნა) საიდუმლო შეხვედრების დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვადასხვა მოხელესთან და კერძო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან, ეს ფული გადაიგზავნა დანიშნულების ადგილას და უკვე იყენებენ დაქირავებულთა შრომის ასანაზღაურებლად, მოხელეების მოსასყიდად ცენტრალურ ამერიკის ქვეყნების მთავრობებში, რათა უზრუნველყონ მათი თანამონაწილეობა შეთქმულებაში და იარაღის შესყიდვა.

## ბონის კაბინეტის მომავალი შეცვლის გამო

ბონი, 30 აგვისტო (საკდესი). დღეს გაიმართა საუბარი დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერსა, რომელიც შვებულებას კადენაბიაში (ჩრდილოეთ იტალია) ატარებს, და ვიცე-კანცლერ ერჰარდს შორის, რომელმაც ოქტომბრის შუა რიცხვებში უნდა დაიკავოს ბონის კაბინეტის მეთაურის პოსტი, როგორც დპა-ს სააგენტო აღნიშნავს, საუბარი მიმდინარეობდა იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მთავრობის მომავალ შეცვლასთან.

## პეტიციები გენერალ დე გოლს

პარიზი, 31 აგვისტო. (საკდესი). ყოველდღიურად მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ხელს აწერენ საფრანგეთის მშვიდობისმომხრეთა მოძრაობის პეტიციას. პეტიციაში გამოთქმულია მოთხოვნა, რომ დე გოლპომპიდუს მთავრობა შეუერთდეს მოსკოვის ხელშეკრულებას.

ენდრისა და ლუარის დეპარტამენტის თერთმეტმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, მათ შორის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის, ფრანგ ქალთა კავშირის, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის, ყოფილ ფრონტელთა და წინააღმდეგობის მოძრაობის ასოციაციის მონაწილეთა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ, თავიანთ ერთობლივ მიმართვაში მოითხოვეს, რომ საფრანგეთმა ხელი მოაწეროს მოსკოვის ხელშეკრულებას და შეუერთდეს თავის ყოფილ მოკავშირეებს...

„ჩვენ კვლავ ერთგულნი ვართ ათასობით პატრიოტისა, რომლებმაც თავი დადეს მშვიდობისა და თავისუფლების საქმისათვის“, ნათქვამია ამ მიმართვაში, „და გამოვთქვამთ აღშფოთებას იმის გამო, რომ მთავრობა კვლავ უთმობს ჩვენს მიწა-წყალს გერმანიის მილიტარისტებს, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ აურაცხელი ტანჯვისა და ნგრევისათვის...“

## ნ. ტ. ფედორენკოს გამოსვლა უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის წარმომადგენელი ნ. ტ. ფედორენკო გუშინ გამოვიდა უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც იხილავს სირია-ისრაელის სასაზღვრო კონფლიქტს. მან განაცხადა, რომ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოდგენილი პროექტი მიუღებელია საბჭოთა დელეგაციისათვის, რადგან იგი შეიცავს ფაქტებით დაუდასტურებელ ცალმხრივ ბრალდებას სირიის წინააღმდეგ იმასთან დაკავშირებით, რომ დაიღუპა ისრაელის ორი მოქალაქე. ნ. ტ. ფედორენკომ მხარი დაუჭირა მაროკოს დელეგაციის შესწორებებს, რომ ინგლის-ამერიკის რეზოლუციის პროექტიდან ამოღებულ იქნას ის დებულებები, რომლებიც პასუხისმგებლობას აკისრებს სირიას ისრაელის მოქალაქეების სიკვდილისათვის.

## ყველაზე სერიოზული სასკოლო კრიზისი

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იუწყება:

„მალე ნიუ-იორკში შეიძლება ატყდეს ყველაზე სერიოზული სასკოლო კრიზისი, თუ ქალაქის ხელისუფალნი არ შეიგნებენ, რომ სამუდამოდ წავიდა დრო სიმბოლური მოქმედებისა სკოლების დესეგრეგაციისათვის“, — აღნიშნავს გაზეთი „უორკერი“ ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ სტატიაში.

მიმდინარე წელს მეცადინეობა სკოლებში აქ უნდა დაიწყოს 9 სექტემბერს. მაგრამ დიდი ხნით ადრე სასწავლო წლის დაწყებამდე ნიუ-იორკის პრესაში გამოთქვამდნენ სერიოზულ შიშს, როგორ წარიმართება სწავლა მიმდინარე წელს. პატიოსანი და რასობრივ ცრურწმენისაგან თავისუფალი ამერიკელების დიდ უკმაყოფილებას იწვევს ნიუ-იორკის სკოლებში დამკვიდრებული რასობრივი სეგრეგაცია.

სამხრეთ შტატებისაგან განსხვავებით, ნიუ-იორკის ყველა სკოლაში განხორციელდა „სიმბოლური ინტეგრაცია“. სკოლებში, სადაც უპირატესად თეთრკანიანი მოსწავლეები მეცადინეობენ, მუდამ არიან გარკვეული რაოდენობით ზანგი მოსწავლეები, და, პირიქით, უპირატესად ზანგთა სკოლებში დადიან ცალკეული თეთრკანიანი მოსწავლეები.

ორი წლის წინათ ამ ფაქტებს არ მიუპყრიათ საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღება. მაგრამ სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის საერთო აღმავლობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში აიძულა საზოგადოებრიობა ახლებურად შეეხედა რასობრივი უთანასწორობის მდგომარეობისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორგანიზაციებმა, რომლებიც გამოდიან სამოქალაქო უფლებათა დასაცავად, მოითხოვეს ფაქტიური სეგრეგაციის ლიკვიდაცია ნიუ-იორკის სკოლებში. მაგრამ მათი მოთხოვნა, რომ ხელახლა გაენაწილებინათ მოსწავლეები, წააწყდა ქალაქის სკოლების ხელისუფალთა და ქალაქ ნიუ-იორკის მერის ვაგნერის შეუპოვარ წინააღმდეგობას.

ამ დღეებში ნიუ-იორკის სკოლების ინსპექტორთან კელვინ გროსონთან ორი საათის უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ დემოკრატიული ორგანიზაციების ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ განზრახული აქვთ საყოველთაო ბოიკოტი გამოუცხადონ მუნიციპალურ სკოლებს 9 სექტემბრიდან რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ამრიგად, თუ ქალაქის ხელისუფალნი არ დათმობენ და ბოიკოტის გეგმები განხორციელდა, მილიონზე მეტ ნიუ-იორკელ მოსწავლეს შეექმნება სერიოზული სასკოლო კრიზისი სასწავლო წლის პირველი დღიდანვე.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

□ მილიონნახევარი მოსწავლე, ტექნიკუმების 94 ათასი მოსწავლე მიუსხდებიან მიმდინარე სასწავლო წელს მერხებს სოციალისტურ ბულგარეთში. 25 უმაღლეს სასწავლებელში ისწავლის 58 ათასი სტუდენტი. 19 წლის წინათ ბულგარეთში 1300 ათასი კაცი უწიგნური იყო, ყოველწლიურად სკოლის გარეშე რჩებოდა 100 ათასი ბავშვი.

□ 29 აგვისტოს ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროზე მძვინვარებდა გრიგალი, რასაც მოჰყვა კოკისპირული წვიმები. ამ სტიქიური უბედურების შედეგად დაიღუპა სამი კაცი, სიდნეიში წალეკილია ბევრი სახლი, შეჩერდა ყველა სახეობის ტრანსპორტის მოძრაობა.

□ ინგლისის გზებზე ივნისში დაიღუპა 595 კაცი, მძიმედ დაშავდა 8.169 კაცი, მსუბუქად დაშავდა 24.409 კაცი. გასული წლის ივნისთან შედარებით უბედურ შემთხვევათა რიცხვი თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა.

## შეწყდეს სისხლისღვრა

ჰანოი, 30 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუან ტუიმ ჟენევის 1954 წლის კონფერენციის თანათავმჯდომარეებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მათ ყურადღებას მიაპყრობს ამჟამად სამხრეთ ვიეტნამში შექმნილ მეტად სერიოზულ მდგომარეობას, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. საომარი მდგომარეობა ამ ქვეყანაში და ნგო დინ დიემის მთავრობის ტერორისტული აქტები, ნათქვამია წერილში, სამხრეთ ვიეტნამის ხალხის ყველაზე ელემენტარულ უფლებათა უხეში დარღვევაა, იგი აღმაშფოთებლად ეწინააღმდეგება მუხლებს დემოკრატიულ თავისუფლებათა შესახებ, რომლებიც ჩაწერილია ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებში. ნგო დინ დიემის მთავრობა, ხაზგასმულია წერილში, საზარელ დანაშაულობებს ჩადის იმიტომ, რომ იგი სარგებლობს ამერიკელი იმპერიალისტების უსაზღვრო მხარდაჭერით.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სთხოვს თანათავმჯდომარეებს ურჩიონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს გამოუცხადებელი ომი სამხრეთ ვიეტნამში, დაშალოს სამხედრო სარდლობა საიგონში და გაიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან თავისი შეიარაღებული ძალები.

## დიქტატორი გარბის კრავს

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო იმოწმებს კარგად ინფორმირებულ წყაროებს და იუწყება, რომ ნგო დინ დიემის მთავრობა ოქროსა და უცხოეთის ვალუტის მარაგს სამხრეთ ვიეტნამის ბანკებიდან გზავნის პრეზიდენტის სასახლეში. ეს მოქმედება, აღნიშნავს სააგენტო, არის სიფრთხილის წინდაწინ გამოჩენა იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა გაუარესდა ნგოდინდიემელ ხელისუფალთა მდგომარეობა. როგორც ვარაუდობენ, შემდეგ ოქროს საზღვარგარეთ გაიტანენ.

## პრეზიდენტ კენედის სურვილი და ამერიკის სინამდვილე

ვაშინგტონი, 30 აგვისტო. (საკდესი). პრეზიდენტმა კენედიმ ამერიკელ ხალხს მიმართა ტრადიციული განცხადებით შრომის დღის გამო, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება ამერიკის შეერთებულ შტატებში სექტემბრის დამდეგს.

კენედიმ დახატა ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობის ოპტიმისტური სურათი. ამ ქვეყანამ, მისი სიტყვით, დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის დარგში. „ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების“ და „დემოკრატიულ თავისუფლებათა მიღწევის საქმეში, რაც იმედს უსახავს მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს“.

მაგრამ ფაქტები, რომლებიც განცხადებაში მოჰყავს თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მოწმობენ, რომ სურათი არც თუ ისე მომხიბვლელია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, თურმე, „ეკონომიური აქტივობის დიდი დონის“ მიუხედავად, არის ეკონომიკის დარგები, რომლებსაც იგი „მოძველებულ დარგებს“ უწოდებს. ისინი დაქვეითებას განიცდიან. გარდა ამისა, არის მთელი რაიონები, რომლებიც „არ მონაწილეობენ ქვეყნის საერთო აღდგენაში“.

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის „აყვავების“ მიუხედავად, ამერიკაში არის 4.250 ათასი უმუშევარი. წარმოების ავტომატიზაცია აგრეთვე არ აუმჯობესებს მშრომელთა მდგომარეობას და იწვევს იმას, რომ „ბევრი სამუშაო ადგილი და შრომითი ჩვევა ზედმეტი ხდება“, ესე იგი ბევრი მუშა აკლდება საწარმოო პროცესს და აღარა აქვს არსებობის სახსრები.

კენედიმ განსაკუთრებით აღნიშნა ამერიკის ახალგაზრდობის ცუდი მდგომარეობა. ამჟამად, აღიარა მან, 16 წლიდან 21 წლამდე ასაკის ყოველი მეოთხე ამერიკელი არ სწავლობს და არ მუშაობს. უმუშევრობა და დამნაშავეობა ახალგაზრდობას შორის, თქვა მან, იმის ნიშანია, რომ „ამერიკის საზოგადოებამ ვერ გამოიყენა ახალგაზრდა ქალთა და ვაჟთა მთელი ენერგია და მთელი ნიჭი დადებითი ამოცანების გადაწყვეტისა და დადებითი მიზნების მიღწევისათვის“.

პრეზიდენტმა მწვავედ გააკრიტიკა განათლების სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში. „სწავლების დაბალი დონე, მომზადების დაბალი დონე და ტექნიკური ჩვევების უქმარობა — ასეთია ძირითადი დაბრკოლებანი სამუშაოს მიღებისა და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის“, — განაცხადა მან.

რაც შეეხება ყბადაღებულ „ამერიკულ თავისუფლებებს“, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯერ კიდევ უნდა მიაღწიონ „ყველა მოქალაქის თანაბარ უფლებათა უზრუნველყოფას დასაქმების, განათლების დარგში, კენჭისყრის დარგში და ჩვენი ეროვნული საქმიანობის ყველა სფეროში“.

სურათი არც თუ ისე ბრწყინვალეა, როგორც პრეზიდენტს სურდა წარმოესახა.

## ა. კარიალაინენის მთავრობა გადადგა

ჰელსინკი, 30 აგვისტო. (საკდესი). დღეს პრემიერ-მინისტრი ა. კარიალაინენი ეწვია რესპუბლიკის პრეზიდენტ უ. კ. კეკონენს და განცხადება გაუკეთა მთავრობის გადადგომის შესახებ.

ჰელსინკი, 30 აგვისტო. (საკდესი). ფინეთის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა მიიღო კარიალაინენის მთავრობის გადადგომა. კეკონენმა სთხოვა კარიალაინენს შეასრულოს თავისი მოვალეობანი ახალი მთავრობის შექმნამდე.

## ასფალტის ტბა

ყველაზე ცხელ კუთხეში

ალბათ არც კი დაიჯერებთ, თუ გეტყვიან, რომ არსებობს ტბა, რომლის ზედაპირზე შეიძლება იაროთ და არ დასველდეთ. მაგრამ რა დაუჯერებელიც უნდა გეჩვენებოდეთ, ეს სრული სიმართლეა. ეს არის დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ კუთხეში მდებარე ტრინიდადის ასფალტის ტბა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ მის ზედაპირზე ცოტა ხანს უძრავად გაჩერდებით, ფეხები სულ უფრო ღრმად და ღრმად ჩაეფლობა.

შვედი მწერალი უ. პრესტო, რომელმაც დაათვალიერა ეს ტბა, აგვიწერს, როგორ მუშაობენ იქ ფართოფარფლიან ქუდებიანი შავკანიანი მუშები. ისინი „ბუმბერაზ გრამოფონის ფირფიტაზე“ დადიოდნენ და წერაქვებით ჭრიდნენ ასფალტის ბელტებს. მერე კი თავზე იდებდნენ მათ და ისე გადაჰქონდათ ნაპირზე. იქ პატარა ვაგონეტებში ყრიდნენ და ნაპირთან მდებარე გამწმენდ ქარხანაში მიჰქონდათ. იქ ასფალტს დიდ გეჯებში ხარშავენ, წყალს აორთქლებენ და საექსპორტოდ ასხამენ კასრებში.

ეს მოღუშული ტბა ტურისტებს ალბათ აუტანლად მოსაწყენი ეჩვენებათ. მაგრამ ეს ბუნების ერთ-ერთი დიდი საოცრებაა. ტბა ზღვის ახლოს მდებარეობს მაღალ პლატოზე, დაახლოებით 95 კილომეტრზე პორტოფ-სპეინის სამხრეთით, იმ ადგილის ახლოს, სადაც კოლუმბმა 1498 წლის ივლისში პირველად დაინახა მიწა. სწორედ ამ ტბის წყალობით იქცა ტრინიდადი მსოფლიოში ასფალტის ერთ-ერთ უდიდეს მიმწოდებელ ქვეყნად.

ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ტბა დაუშრეტელი ჩანს. ათობით წელი გრძელდება ამ მასალის მტაცებლური მოპოვება. უკვე ამოღებულია ათ მილიონ ტონაზე მეტი ასფალტი. დღის განმავლობაში იღებენ 30-40 ტონას — მეორე დღეს კი უზარმაზარი ჭრილობა უკვე შეხორცებულია.

ბუნებრივი რეზერვუარის სიღრმეზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. ბურღავდნენ 100 მეტრ სიღრმემდე, მაგრამ ფსკერამდე ვერ მიაღწიეს. გეოლოგები ფიქრობენ, რომ ტბა შეიძლება ამოუწურავი აღმოჩნდეს. ისინი ირწმუნებიან, რომ ასეთივე ტემპებით ასფალტი შეიძლება მოიპოვონ 500 წლის განმავლობაში. ასფალტის მარაგი ავტომატურად ივსება. ამასთან მისი ხარისხი მაღალია — უკეთესს ვერც ინატრებთ.

მეცნიერები აქამდე დავობენ ტბის წარმოშობის შესახებ. ვარაუდობენ, რომ ნავთობი და გაზი მიწისქვეშ შლამთან აირია და იღვრება ჩამქრალი ვულკანის კრატერში, რომელიც მისთვის ბუნებრივი ცისტერნის მაგივრობას ეწევა. ლეგენდის თანახმად ასფალტის ქვეშ ინდიელების მთელი სოფელია ჩამარხული. ის ღმერთებმა დასაჯეს იმისათვის, რომ მისმა მცხოვრებლებმა წმინდა კოლიბრი მოკლეს, რომელშიც წინაპართა სულები იყო ჩასახლებული. კოლიბრები ტრინიდადის ისტორიაში სწორედ იმ დროიდან გვხვდება, კუნძულზე პირველად რომ მოვიდნენ კარიბები და არავაკები. კოლუმბის დროს ტრინიდადი „კოლიბრების მიწად“ იწოდებოდა და დღემდე ეს ნამცეცა ჩიტი კუნძულის სიმბოლოს წარმოადგენს.

სხვათა შორის, იშვიათი როდია იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ შავი საბურველის ქვეშ მართლაც იმალება საკვირველი გამოცანის ამოხსნა. მუშები ასფალტში პოულობენ სავსებით უცნაურ საგნებს: ინდიელების საოჯახო ნივთებსა და იარაღებს, ჩონჩხის ნაწილებს, ისტორიამდელ კბილებსა და ეშვებს. ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილ იქნა მასტოდონტის ყბის ნაწილი. ამან მეცნიერებში პირველად წარმოშვა აზრი დაესკვნათ, რომ სპილოების ოჯახის ძველი ბუმბერაზი ოდესღაც ტრინიდადში ბინადრობდა. აგროვებენ აგრეთვე იმ ფრინველთა ბევრ გაქვავებულ ნაშთს, რომლებიც ასფალტში ჩავვინულან და დაღუპულან.

1928 წელს აქ მოხდა საოცარი ამბავი, რომელიც აქამდე აღელვებს მეცნიერებს. ტბის წიაღიდან მოულოდნელად თითქმის ოთხ მეტრ სიმაღლეზე აღიმართა ხე. ასე იდგა რამდენიმე დღეს, მერე ნელნელა დაიხარა და ჩაიძირა. ეს სურათი დაახლოებით ერთ თვეს გრძელდებოდა. მუშებმა მოასწრეს ტოტი მოეჭრათ. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ხე საოცრად კარგად შენახულა. თითქოს სულ ახლად ყოფილიყოს მოჭრილი. გამოკვლევამ კი აჩვენა, რომ ის დაახლოებით ხუთი ათასი წლისაა.





## ხელოვნების საერთო ენით

უცხოეთის გაზეთების ფურცლებზე

გუშინ „კომუნისტის“ რედაქციამ ახალი ზელანდიიდან მიიღო გაზეთების „ნიუ ზილენდ ჰერალდისა“ და „ოკლენდ სტარის“ ნომრები, სადაც დაბეჭდილია წერილები საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლების გამო.

ქვემოთ ვაქვეყნებთ რამდენიმე ადგილს ამ წერილებიდან.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი მიპატიჟებულ იქნა სამოქალაქო წვეულებაზე, რომელიც გამართა ქალაქ ოკლენდის მერმა, ბ-ნმა დ. მ. რობინსონმა ქალაქის რატუშაში გუშინ ნაშუადღევს.

რობინსონმა განაცხადა, რომ რამდენიმე მიზეზმა განსაზღვრა ანსამბლის გულთბილად მიღება ოკლენდში. ერთ-ერთი ეს მიზეზი ის იყო, რომ მან ნახა შესანიშნავი ოსტატობა, რაც ქართველმა მოცეკვავეებმა აჩვენეს პირველ კონცერტზე. გარდა ამისა, იგი გრძნობდა, რომ პოლიტიკური ატმოსფერო საბჭოთა კავშირსა და ახალ ზელანდიას შორის ამჟამად ბევრად უკეთესია, ვიდრე წინათ.

„ატმოსფეროში, წყალქვეშ და კოსმოსში ატომური ბომბის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოსკოვში ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ პოლიტიკური ჰავა კიდევ უფრო გაუმჯობესდება“, — განაცხადა მან.

შემდეგ მიზეზად ბ-ნმა რობინსონმა დაასახელა ის ფაქტი, რომ ახალზელანდიელ ხალხს ბევრი რამ სმენია საბჭოთა ხალხების ცეკვისა და მუსიკის დიდ ტრადიციებზე.

„თუმცა ჩვენ ერთ ენაზე არ ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩვენ გვაქვს საერთო ენა ხელოვნებასა და კულტურაში, რაც მჭიდროდ გვაკავშირებს“, — თქვა მან.

ანსამბლის ხელმძღვანელმა, ბ-ნმა სუხიშვილმა, განაცხადა:

„აქ რომ ჩამოვედით ჩვენი უმთავრესი მიზანი ის არის, რომ განვამტკიცოთ კულტურული ურთიერთობა ჩვენს ორ დიდ ერს შორის“.

გაზეთი „ნიუ ზილენდ ჰერალდი“.

ალმაფრთოვანებელი, თავბრუდამხვევი, განსაცვიფრებელი — არც ერთი ეს სიტყვა არ იქნება გადაჭარბებული იმ აღტაცების გამოსახატავად, რომელიც გუშინ საღამოს გამოიწვია საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლმა გამეილ სენტ-ჯეიმის თეატრში.

ახალ ზელანდიაში ქართველ მოცეკვავეთა პირველი გამოსვლა ერთბაშად იქცა ყველაზე აღტაცების მომგვრელ და არაჩვეულებრივ მოვლენად ჩვენი თეატრალური ცხოვრების დიდ მანძილზე.

ამ საღამომ დაამტკიცა, რომ ხელოვნება არღვევს ყოველგვარ საერთაშორისო ბარიერს. მაყურებლები ენთუზიაზმმა პირველივე წუთებიდან მოიცვა და ძლიერი ტაში გაისმოდა თითქმის ყოველი ნომრის შესრულების დროს და დასასრული არ ჰქონდა საბოლოო ფარდის შემდეგაც.

ქართული ანსამბლის პროგრამის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვაცნობს სრულიად განსხვავებულ და უჩვეულო კულტურას, რაც ამავე დროს აღფრთოვანებას იწვევს.

ამ ცეკვებს იმ ხალხის ორი ათასზე მეტი წლის ტრადიცია აქვს, რომელიც ცნობილია სიმამაცით, მუსიკის დიდი სიყვარულით და შესანიშნავი გარეგნობით.

ყველა ეს თვისება გამოჩნდა მოცეკვავეებში წუხანდელ საღამოს, მაგრამ გარდა ამისა შესამჩნევი იყო კიდევ მეტი რამ — კერძოდ, ღირსება, თავაზიანობა და კეთილშობილება.

ქართველების ცეკვაში არ იგრძნობა რაიმე ნიშანი ზედმეტი მგრძნობიარობისა, რაც ასე ახასიათებს ცეკვების დასავლეთურ კულტურას. ქართველები გვაჩვენებენ, რომ ცეკვის ხელოვნებამ შეიძლება აღფრთოვანება და კეთილშობილების გრძნობა აღძრას ჩვენში და ამავე დროს სისპეტაკითა და კდემამოსილებით იყოს აღსავსე.

მამაკაცების ცეკვა აღგვაფრთოვანებს ცეცხლით, სიმამაცით და ზომაგი თავდავიწყებით, ქალები კი, რომლებიც ყოველთვის კეთილშობილურად არიან გამოწყობილი გრძელ კაბებში, სცენაზე ისე დასრიალებენ, თითქოს კარგად დაზეთილ გორგოლებზე დადიანო.

მუსიკალური აკომპანემენტი მთლიანად შეესაბამება ცეკვების სულსა და სტილს — ეს გახლავთ დუდუკები, ლერწმისაგან გამოთლილი საკრავები, აკორდეონები და დოლები.

სცენა გაფორმებულია მხოლოდ ფარდებით. ცეკვა და მუსიკა იმდენად გიტაცებთ, რომ სხვა არარაფერია საჭირო ასეთი დაძაბული ხელოვნების დროს.

მრავალგვარი მომხიბლავი ცეკვებიდან ყველაზე შესანიშნავი უდავოდ ხმლებით ცეკვაა. ხმლები კრიალებენ ელვის სისწრაფით და ნაპერწკლებით ავსებენ გარემოს.

განსაცვიფრებელი ის არის, რომ არავითარ უბედურ შემთხვევას არა აქვს ადგილი. სრულყოფილი ტექნიკა უზრუნველყოფს ყოველივეს.

ნამდვილად ფანტასტიკური ოსტატობაა აგრეთვე პირუეტები, მაგრამ არა ფეხებზე, როგორც კლასიკურ ცეკვებში, არამედ ორივე მუხლზე. თან ზოგიერთ მოცეკვავეს ხელში დოლი უჭირავს, ჰაერში მაღლა ხტება და ისეთი ძალით ეცემა იატაკზე ორივე მუხლით, რომ გიკვირთ, როგორ არ ემსხვრევათ მუხლისთავები. გასაოცარია მამაკაცების ცეკვა ცერებზე, რბილ წაღებში, რომლებშიც არაფერი აქვთ დაგებული და უკიდურესად სწრაფი მოძრაობა ფეხებისა, რაც საოცარ ეფექტს იძლევა.

ორმა სოლისტმა ბრწყინვალე ვირტუოზობა გამოიჩინა. ისინი დოლებს უკრავდნენ ხან თავს ზევით, ხან გვერდებზე და მაჯებისა და თითების გასაოცარ მოქნილობას იჩენდნენ, თან თავიანთ საკრავებს ატრიალებდნენ სხეულის ირგვლივ, ფეხებშუა იტრიალებდნენ და მაღლა ჰაერში ისროდნენ.

შემდეგ ვნახეთ უმაღლესი ელეგანტურობით მოსილი ქალთა ცეკვა, მშვენიერი საქორწინო ცეკვა — მომხიბლავი სანახაობა; გოგონებს ამ დროს თეთრი და შავი სამოსელი აცვიათ. ქართველებს არ იტაცებთ თვალისმომჭრელი ფერები, უყვართ მუქი ფერები, რაც მათს გარეგნობას უფრო შეეფერება.

ყველა, ვინც წუხელ ქართველ ხელოვანთა პროგრამა ნახა, კონცერტიდან წავიდა იმ გრძნობით, რომ იხილა ცხოვრებაში ერთ-ერთი უდიდესი სანახაობა. ამ სანახაობისათვის ყოველგვარი საფასურის გაღება ღირს.

გაზეთი „ნიუ ზილენდ ჰერალდი“.

ეს არის ყველაზე მეტი სიხალისით აღსავსე ანსამბლი, რომელიც კი ახალ ზელანდიას სწვევია საბჭოთა კავშირიდან. 65 ქართველი მოცეკვავე სიცილითა და გონებამახვილური შეძახილებით ამკობდა თავის პირველ ორ ნომერს — „ფარცას“ და ცეცხლოვან „ქართულს“, რომლებიც წუხელ რამდენჯერმე გაიმეორეს პრესის ფოტორეპორტიორებისა და ტელევიზიის ოპერატორებისათვის რეპეტიციაზე.

როგორც ერთ-ერთი შემხვედრი წერტილი ევროპასა და აზიას შორის, საქართველოს ბობოქარი ისტორია თავიდანვე აღსავსეა შემოსევებითა და ამბოხებებით.

ქართველების ცეკვები გამოირჩევა მამაკაცების გასაოცარი ნახტომებით, ცერებსა და მუხლებზე ცეკვით და ქალების ნარნარი, მოქნილი მოძრაობით.

15 წლის განმავლობაში ამ ანსამბლმა ევროპაში გასტროლებით სახელი მოიხვეჭა, როგორც ბრწყინვალე კოლექტივმა.

გაზეთი „ოკლენდ სტარი“.

ინგლისურიდან თარგმნა

გ. ჯაბაშვილმა.

* * *

სურათზე: „ნიუ ზილენდ ჰერალდისა“ და „ოკლენდ სტარის“ ის ნომრები, სადაც დაბეჭდილია წერილები და ფოტომასალა ახალ ზელანდიაში ქართველ მოცეკვავეთა გასტროლების გამო.

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

### ვინ იცნობდა ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძეს?

## გმირის კვალდაკვალ



„კომუნისტის" ა. წ. 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა წერილი დიდი სამამულო ომის გმირ ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძეზე. როგორც ვიტყობინებოდით, იგი გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს 1943 წლის 27 ივლისს ტალინის ცენტრალურ ციხეში.

რედაქცია სთხოვდა მკითხველებს, ვინც კი რაიმე იცოდა ამ უდროოდ დაღუპული ადამიანის შესახებ, გამოეგზავნა ჩვენთვის გმირის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, ფოტოსურათი და პირადი წერილები.

უკვე მივიღეთ პირველი მასალები, რომლებსაც აქ ვაქვეყნებთ. მაგრამ ამით არ ვწყვეტთ ვერაგულად მოკლულ ქართველ ვაჟკაცზე საუბარს. მოველით თქვენგან ახალ მასალებს და სურათებს, ძვირფასო მკითხველებო!

□

### იგი ჩემი ძმა იყო

თვალზე ცრემლი არ მშორდებოდა, ისე წავიკითხე „კომუნისტში" მოთავსებული წერილი „ვინ იცნობდა ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძეს?".

იგი ხომ ჩემი ძმა იყო. მომაგონდა დიდი ხნის უნახავი, ჩვენი ოჯახისათვის სამუდამოდ დაკარგული. 1942 წლიდან არაფერი ვიცოდით მის შესახებ. ბოლო სამკუთხა ბარათი მართლა უკანასკნელი აღმოჩნდა.

ყოველდღე ველოდით ვასილის შინ დაბრუნებას, მაგრამ ლოდინი ამაო გამოდგა. ომში დავკარგე სამი ძმა. ორის ამბავი ვიცოდით. მესამისა კი გაზეთით გავიგეთ, რომ გერმანელ ფაშისტებს დაუხვრეტიათ ტალინის ციხეში.

არა, არ მინდა დავიჯერო მისი სიკვდილი. ბავშვობიდანვე მოსდევდა შეუპოვრობა, ვიცი თავს არ შეირცხვენდა ბრძოლაში. აკი არც დაინდეს არამზადებმა. ვერაგულად, და ვინ მოთვლის, კიდევ როგორ განგმირეს მილიონობით მისებრ ვაჟკაცი.

**ელისო ბრეგვაძე.**

### ძმის ნაამბობი

ლიახვის ნაპირზე ბაღ-ვენახებში ჩაფლულია გორის რაიონის მშვენიერი სოფელი საქაშეთი. აქ დაიბადა და გაიზარდა ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძე.

გრიგოლს შვიდი შვილი ჰყოლია — ხუთი ვაჟი და ორი ქალი. აი მათი სახელებიც: დიმიტრი, ლავრენტი, ვასილ, კოხტა, ამირან, ელისო და ელენე. ხუთი ვაჟიდან სამი მტერთან გმირულ ბრძოლაში დაეცა, შინ არ დაბრუნებულან ვასილი, კოხტა და ამირანი. ვაჟკაცურად მოიხადა საბჭოთა მოქალაქის ვალი ლავრენტიმ და ამჟამად აგარის შაქრის ქარხანაში მუშაობს უფროს მექანიკოსად. აი რა მიამბო მან თავისი ერთ-ერთი ძმის, უგზო-უკვლოდ დაკარგული ვასილის შესახებ.

— ვასილი 1914 წელს დაიბადა, სწავლობდა საქაშეთში, შემდეგ კი შინდისში და იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ბეჯითად მუშაობდა კოლმეურნეობაში, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი იყო. 1934 წელს შევიდა თბილისის სამხედრო სასწავლებელში და როცა ისიც დაამთავრა, როსტოვის ოლქში, ქ. კამინსკში დაიწყო მუშაობა შინსახკომში. რუსეთში შეირთო ცოლი, რომელიც საქაშეთშიც ჩამოსულა სტუმრად. ეს იყო 1940 წელს. კამინსკში დაბრუნების შემდეგ კვლავ გაიწვიეს ჯარში. იარაღი ხელთ ეპყრა შემოსულ მტრებთან საომრად.

მხარბეჭიანი, მოსული ვაჟკაცი იყო ჩემი ძმა. უყვარდა ჭიდაობა. მისი ბეჭი მიწაზე არ დადებულა, ყველას ერეოდა ჩვენს სოფელში და სხვაგანაც, სადაც ბაექრობა მოუწევდა. ჩვენით ხარობდნენ მშობლები, მაგრამ სამი შვილის უდროოდ დაკარგვამ წელში გატეხა ისინი და ადრე მიიბარა მიწამ. ვასილი იყო კომუნისტური პარტიის წევრი, სამხედრო წოდებით უფროსი ლეიტენანტი. დიდი ხანია მისი ამბავი არ ვიცოდით, „კომუნისტის" საშუალებით გავიგეთ, რომ გერმანელ ფაშისტებს მოუკლავთ საშინელი წამებით, — მიამბო ლავრენტიმ.

**სოკრატ რეხვიაშვილი.**

ქ. გორი.

### კარგად ვიცნობდი

სამსახურიდან დავბრუნდი თუ არა, მეუღლემ გაზეთი „კომუნისტი" მომაწოდა და მითხრა, წაიკითხე, მგონი შენ იცნობდი იმ კაცს, კარგი იქნება, თუ რედაქციასაც გააგებინებ მის ვინაობას. იგი ხომ ესტონეთში ფაშისტებმა მოკლესო.

გულდასმით გავეცანი წერილის შინაარსს. მაშინვე თვალწინ დამიდგა ჩემი ნათესავი მამის მხრივ. ვასილ ბრეგვაძე გრიგოლის ვაჟია. ცხოვრობდა გორის რაიონის სოფელ საქაშეთში.

შვიდი შვილი ჰყავდა ამ შრომისმოყვარე ადამიანს. ჩემი ტოლი იყო მისი უფროსი ვაჟი დიმიტრი, რომელთანაც კარგი მეგობრობა მქონდა. ოთხი ვაჟი ჯარში გაიწვიეს. მათგან სამი დაიღუპა, ერთი კი შინ დაბრუნდა. ბევრჯერ უტირია ჩემს თვალწინ დიმიტრის, როცა დაღუპულ ძმებს მოიგონებდა, განსაკუთრებით სწუხდა ვასილზე, რომლის ამბავი სრულიად არ იცოდა.

დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ „კომუნისტში" მოხსენებული ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძე, რომლის ვინაობის გაგებით დაინტერესებულია ჩვენი მოძმე რესპუბლიკის ესტონეთის გამომცემლობაც, სოფელ საქაშეთიდან არის.

**დიმიტრი ყარუმაშვილი.**

ქ. თბილისი.

## ტურისტები მამისონზე

ამბროლაური. (საკ. კორ.). შოვის ტურისტული ბაზა ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი ბაზაა რესპუბლიკაში. აქ მრავალი ტურისტი მოდის ყოველდღიურად. მიმდინარე სეზონში ბაზა უკვე მოემსახურა 2.500-ზე მეტ ტურისტს. ამ დღეებში აქ ტურისტული საგზურებით ჩამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან, სახალინიდან, კრასნოიარსკიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა შორეული კუთხეებიდან.

ტურისტული მარშრუტი, რომელიც ქ. ორჯონიკიძეში იწყება და ციხისძირში მთავრდება, გადმოდის მამისონის ცნობილ უღელტეხილზე. ტურისტები უდიდესი ინტერესით ათვალიერებენ ცეის მყინვარს, მწერალ კოსტა ხეთაგუროვის სახლ-მუზეუმს, მამისონის მეტეოროლოგიურ სადგურს, ჰანჭახის მყინვარსა და ბუბის ულამაზეს მთას. შოვის ტურისტული ბაზიდან ეწყობა ექსკურსია ჩხოჯას მაღალ მთაზე, საიდანაც იშლება კავკასიონის მთავარი ქედის ზღაპრული პანორამა.

შოვის ტურისტული ბაზა შესანიშნავად არის მოწყობილი. აქ ყველა პირობაა მოგზაურთა კულტურული დასვენებისათვის. ტურისტების სამსახურში დგას ორი საცხოვრებელი კორპუსი, 25 კარავი, კლუბი, 120-ადგილიანი სასადილო, საცეკვაო და სპორტული მოედნები, ბიბლიოთეკა, მთის პლაჟი.

წლევანდელ სეზონში შოვის ტურისტული ბაზა 3.300 ტურისტს მოემსახურება.

### ახალი სკოლა

საჩხერე. (საკ. კორ.). ახალი სასწავლო წლისათვის საუცხოო საჩუქარი მიიღეს პერევისელმა მოსწავლეებმა. შახტმშენის ჭიათურის სამმართველომ პერევისაში აიშენა საშუალო სკოლის ახალი შენობა.

საკლასო ოთახებს გარდა სკოლას აქვს კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი, დამხმარე სათავსები.

პერევისელი მოსწავლეები 1963-1964 სასწავლო წელს ახალ, კეთილმოწყობილ სკოლაში ხვდებიან.

### მოკლედ

□ მაიაკოვსკი. ვარციხის ღვინის ქარხნის კლუბში გაიმართა დასავლეთ საქართველოს მეღვინეთა ზონალური თათბირი, რომელიც მიეძღვნა ყურძნის მიღებისა და გადამუშავების საკითხს. მოხსენებით გამოვიდა სამტრესტის მმართველის მოადგილე ვ. მოდებაძე. კამათში მონაწილეობა მიიღო ოცზე მეტმა მეღვინემ. თათბირის მუშაობა შეაჯამა სამტრესტის მმართველმა დ. რომელაშვილმა.

ბ. მუავანაძე.

□ ამას წინათ ქ. ონის კულტურის სახლში სარაიონო ბიბლიოთეკამ მოაწყო მკითხველთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარ უჩა ჯაფარიძესთან.

მხატვრის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე ილაპარაკეს ნ. დუშუაშვილმა, თ. ყიფიანმა, ზ. პაპიძემ. შეხვედრის დასასრულს უჩა ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა შეკრებილთ გულთბილი შეხვედრისათვის.

დ. ხახიაშვილი.

□ ამ დღეებში საჩხერეში გაიმართა პროფკავშირის მუშაკთა სამდღიანი სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს პროფსაბჭოს პროფკურსების დირექტორი ა. მაცაბერიძე.

სემინარს ესწრებოდნენ საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები, სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეები, ხაზინადრები და პროფორგები.

მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები პროფკავშირული მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

ა. ანასაშვილი.



დილა სვანეთში.

ფოტოეტიუდი ო. ისნელისა.

## ოთხი ნახევარფინალი

3 სექტემბერს ჩვენი ქვეყნის ოთხ ქალაქში დაიწყება საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალები.

მოსკოვის ნახევარფინალში თამაშობენ გროსმაისტერები პოლუგაევსკი, ვასიუკოვი, სიმაგინი, ოსტატები მიკენასი, ვერესოვი, ბანიკი, ნოვოპაშინი, ვლადიმიროვი, ნეი, შამკოვიჩი, ზაიცევი, ესტრინი, ბიკოვი, ვიტოლინში, ოსტატობის კანდიდატები ზახაროვი და გეტმანი.

სვერდლოვსკის ნახევარფინალში გამოვლენ გროსმაისტერები ხოლმოვი, შტეინი, ტოლუში, ოსტატები ილივიცკი, ფურმანი, კროგიუსი, გუფელდი და სხვ.

საქართველოს ჩემპიონი ოსტატი გურგენიძე და ოსტატობის კანდიდატი კიკიანი ითამაშებენ ხარკოვის ნახევარფინალში. ამ ჯგუფის შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის ყოფილი ჩემპიონები გროსმაისტერები სპასკი, ავერბახი, ბონდარევსკი, რსფსრ ჩემპიონი ოსტატი ლეინი, უკრაინის ჩემპიონი ოსტატი ნიკოლაევსკი და სხვ.

ალმა-ატის ნახევარფინალში ითამაშებენ გროსმაისტერები ბრონშტეინი, ტაიმანოვი, ოსტატები არონინი, გიპსლისი, ბაგიროვი, ხოდოსი, მნაცაკანიანი და სხვ.

თვითეული ნახევარფინალიდან ფინალში გადის 4 მოჭადრაკე. ნახევარფინალში გამარჯვებულთა გარდა ფინალში გამოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი კორჩნოი.

საკავშირო პირველობის ფინალს მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირისათვის შესარჩევი შეჯიბრების მნიშვნელობაც აქვს.

### ფინიშის წინ

ვრნიაჩკა-ბანიაში სტუდენტთა შორის მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა, მერვე ტური შეუპოვარი ბრძოლით გამოირჩეოდა. მაგალითად, ლიდერი — რუმინელი მოჭადრაკე ფ. გეორგიუ ყაიმს დასჯერდა ინგლისელ ნ. ლისთან, ხოლო მისმა უახლოესმა მეტოქემ მ. იანატამ (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა ი. ადამსკი (პოლონეთი).

საბჭოთა მოჭადრაკის ა. ზახაროვისა და მ. იანატას პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა, ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი უპირატესობას ინარჩუნებს.

იუგოსლაველი მოჭადრაკის ბ. კურაუცასა და ა. ზახაროვის ორთაბრძოლაში 27-ე სვლაზე აღინიშნა ყაიმი.

უკანასკნელი ტურის წინ ფ. გეორგიუს 6,5 ქულა აქვს, მ. იანატას — 5,5 ქულა.

**კომუნისტი სპორტი**

### ჰავანას ტურნირზე

ჰავანაში გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, მიძღვნილი ხოსე-რაულ კაპაბლანკას ხსოვნისადმი. გადადებული პარტიების დამთავრებამ გათამაშების ცხრილში მეტი სიცხადე შეიტანა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გროსმაისტერმა ვ. ულმანმა დაამარცხა ჩილელი მოჭადრაკე რ. ლეტელი, ხოლო კ. დარგასა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და ჯ. რობაჩის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

სამი ტურის შემდეგ საერთაშორისო ტურნირს ერთბაშად ოთხი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან საბჭოთა გროსმაისტერები მ. ტალი და ვ. კორჩნოი, აგრეთვე ბ. ივკოვი (იუგოსლავია) და ა. ო'კელი (ბელგია), რომლებსაც ორნახევარორნახევარი ქულა აქვთ. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან გროსმაისტერები ე. გელერი (სსრ კავშირი) და ლ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია), აგრეთვე საერთაშორისო ოსტატი ფ. პერესი (ესპანეთი).

### თამაშობენ არმიელი კალათბურთელები

პეკინი, 31 აგვისტო. (საკდესი). სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების კალათბურთელთა ფინალურ შეჯიბრებაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც დაამარცხეს რუმინეთის გუნდი — 95:59. ჩინელ და ბულგარელ კალათბურთელთა შეხვედრა ჩინელ სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა — 87:65.

ამოიწურა ძირითადი დრო ჩეხოსლოვაკიისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების მატჩში, ანგარიში იყო 69:69. მხოლოდ დამატებით დროში დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელმა კალათბურთელებმა მოწინააღმდეგე ანგარიშით 77:72.

### საჭადრაკო ზეიმი სტადიონზე

დიდძალი მაყურებელი მოვიდა გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე, რათა ენახათ ჩვენს დედაქალაქში პირველად გამართული „ცოცხალი ჭადრაკი". ფეხბურთის მინდვრის შუაგულში დაგებულია უზარმაზარი საჭადრაკო დაფა.

ფანფარების ხმაზე შემოდიან თეთრ და შავ ტანსაცმელში გამოწყობილი საჭადრაკო ფიგურები და თავთავიანთ ადგილებს იკავებენ დაფაზე. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი მაყურებლებს ულოცავს საჭადრაკო დღესასწაულის დაწყებას და იწვევს მოწინააღმდეგეებს მსოფლიოს ჩემპიონს ტ. პეტროსიანსა და საერთაშორისო გროსმაისტერს დ. ბრონშტეინს. საათი ჩართულია.

პირველი სვლები... წესის თანახმად თამაშიდან გამოყვანილი ყოველი ფიგურის პატივსაცემად თეატრის, კინოს, ესტრადისა და ცირკის მსახიობები თავის ხელოვნებას უჩვენებენ მაყურებლებს.

კონცერტში, რომელიც სვლებს შორის შესვენებებში მიმდინარეობს, მონაწილეობას ღებულობენ: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ორლოვა, საქართველოს დამსახურებული არტისტი ე. მირიანაშვილი, მოსკოვის ოპერეტის თეატრის სოლისტი ს. ხმელნიცკი და სხვ.

სიცილიური დაცვა, რომელიც მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს, მსოფლიოს ჩემპიონის ტ. პეტროსიანის უპირატესობით მიმდინარეობდა. ოცდამეექვსე სვლაზე დ. ბრონშტეინმა თავი დამარცხებულად ცნო.

ეს ნამდვილად საინტერესო სანახაობა იყო.

## ხელოვნების დიდ გზაზე

### ბალეტმეისტერ ალ. ჭიჭინაძის ახალი წარმატებანი

□

„საბალეტო სცენაზე ჯერ არ გვინახავს უფრო კარგი და ვაჟკაცური პარტნიორი, ვიდრე ალ. ჭიჭინაძეა", — წერდა უნგრეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნეპსაბადშაგი" 1953 წლის 15 აგვისტოს მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის გასტროლების გამო ბუდაპეშტში.

ალექსი ჭიჭინაძეზე, როგორც საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ერთ-ერთ საინტერესო წარმომადგენელზე, უკვე დიდი ხანია წერენ და ლაპარაკობენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მას იცნობენ ბალეტის გამოჩენილ სოლისტად, ნიჭიერ ბალეტმეისტერად. მან მრავალი, უაღრესად ახლებური და ლაკონიურად გადაწყვეტილი სპექტაკლი შესძინა საბჭოთა ქორეოგრაფიას.

ალ. ჭიჭინაძე დაიბადა და იზრდებოდა ქუთაისში. მამამისი — პროფესორი ბესარიონ ჭიჭინაძე — ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დისწული იყო და ადრე დაიღუპა. დედამ ალექსი მოსკოვში წაიყვანა და დიდი თეატრის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიაბარა. სტუდიის დამთავრებისთანავე რამდენიმე ხანს ცეკვავდა დიდ თეატრში, შემდეგ კი სამუდამოდ გადავიდა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში, სადაც უკვე მეცხრამეტე წელია ერთ-ერთ წამყვან სოლისტად და ბალეტმეისტერად ითვლება. დიდი გატაცებით ასრულებს მთავარ როლებს ბალეტებში: „ჟანა დარკში", „ესმერალდაში", „მასკარადში" „შტრაუსიანაში" და სხვ.

როგორც მოცეკვავემ პირველი აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა პრაღის ფესტივალზე ჰპოვა, სამართლიანად დაიმსახურა ლაურეატის საპატიო წოდება. მაგრამ ალექსის თავიდანვე იტაცებდა ქორეოგრაფიული კომპოზიცია. 1946-47 წლებში ქ. პერმის საოპერო თეატრში განახორციელა თავისი პირველი პროფესიული დადგმები, რომლებსაც პრესა და მაყურებელი მოწონებით შეხვდა.

1955 წელს ალ. ჭიჭინაძემ წარმატებით დაამთავრა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის საბალეტმეისტრო განყოფილება (პროფ. ლავროვსკის ჯგუფი) საკუთარი ლიბრეტოთი დადგა სადიპლომო სპექტაკლი — გლიერის „კასტილიის ქალიშვილი".

„მარტო ის ფაქტიც საყურადღებოა, რომ თეატრმა ახალგაზრდა რეჟისორს მიანდო ახალი და ორიგინალური სპექტაკლის დადგმა. ამით თეატრი კისრულობდა პასუხისმგებლობას როგორც ბალეტმეისტერის, ისე მთელი ბალეტის დაბადებისათვის. თეატრის შემოქმედებითმა ექსპერიმენტმა მთლიანად გაამართლა იმედი", — წერდა „კომსომოლსკაია პრავდა".

მომდევნო წლებში ალ. ჭიჭინაძემ განახორციელა მრავალი საინტერესო დადგმა, მათ შორის „ტყის ფერია", „ორქიდეის ლეგენდა", „ფრანჩესკა და რიმინი". ამავე დროს როგორც მოცეკვავე და ბალეტმეისტერი წარმატებით გამოდიოდა საზღვარგარეთ — ინგლისში, საფრანგეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, ჰოლანდიაში, ჩინეთში.

სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრის გასტროლების დროს პარიზში ალ. ჭიჭინაძემ სახელგანთქმულ ივეტ შოვირესა და მიშელ რენოს „გრანდ-ოპერაში" დაუდგა დებიუსის „მთვარის შუქი". ასე დაიწყო მათი შემოქმედებითი მეგობრობა, რომელიც კიდევ უფრო გაღრმავდა ფრანგ ხელოვანთა გასტროლების დროს მოსკოვში 1958 წელს. ფრანგი პრიმა-ბალერინას ი. შოვირეს თხოვნით ალ. ჭიჭინაძემ სპეციალურად მისთვის დადგა ნაწყვეტი „ფრანჩესკადან". შოვირე მოხიბლა საბჭოთა ბალეტმეისტერის ემოციურმა ნამუშევარმა.

1960 წელს საბჭოთა საბალეტო დასი გასტროლებზე იყო ინგლისსა და შოტლანდიაში. კონცერტები გამართა პოლანდიაშიც. ალ. ჭიჭინაძე იქ გაეცნო ამერიკის ბალეტს, რომელიც შემდეგ მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირში. 1960 წლის შემოდგომაზე ამერიკელებმა თბილისშიც უჩვენეს რამდენიმე წარმოდგენა. ცოტა ხნის შემდეგ ალ. ჭიჭინაძე მიიწვიეს ჰოლანდიაში ჩაიკოვსკის მუსიკაზე შექმნილი ბალეტის „ფრანჩესკა და რიმინის" დასადგმელად. ეს დიდი ნდობა იყო, რაც საბჭოთა ბალეტმეისტერმა ბრწყინვალედ გაამართლა.

1961 წლის 16 ივნისს ეროვნულ ფესტივალთან დაკავშირებით შედგა ამ სპექტაკლის პრემიერა. 20 ივნისს კი ქვეყნდება ასეთი ცნობა: „როგორც ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოები, ფესტივალის პროგრამაში წელს შეიტანეს ჩაიკოვსკის მუსიკაზე აგებული ბალეტი „ფრანჩესკა და რიმინი" ჰოლანდიის სამეფო ბალეტის მსახიობების შესრულებით. დამდგმელად მოიწვიეს საბჭოთა ბალეტმეისტერი ალ. ჭიჭინაძე... 16 ივნისს შედგა პრემიერა, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა".

შარშან ალ. ჭიჭინაძე მიიწვიეს ბულგარეთში, სადაც სოფიის საოპერო თეატრში განახლა „გედის ტბა", სხვადასხვა ქალაქში კი 22 კონცერტი გამართა.

ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ალ. ჭიჭინაძე მთლიანად გაიტაცა ახალმა დადგმამ. დონ ჟუანის თემას მოჰკიდა ხელი. ვინ მოთვლის, რამდენი ლექსი, რომანი, პიესა, ოპერა, სიმფონია, ბალეტი, კინოფილმი შექმნილა ამ ტრადიციულ თემაზე. მათ შორის ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უჭირავს რიჰარდ შტრაუსის სიმფონიურ პოემას, რომელსაც თანამედროვეებმა „ვნებათა ჰიმნი", სასიყვარულო ციებ-ცხელების სიმფონია უწოდეს.

ამ შესანიშნავ საბალეტო ნაწარმოებს პირველად მიმართა ალ. ჭიჭინაძემ, და თვითონ დაწერა ლიბრეტო გ. პროვატოროვთან ერთად. რამდენიმე ხნის წინათ შედგა პრემიერა, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა. ეს უაღრესად დრამატული სპექტაკლი მაყურებელს ხიბლავს არა მარტო ლაკონიური და ორიგინალური რეჟისორული გადაწყვეტით, არამედ არაჩვეულებრივად დაძაბული ქორეოგრაფიით, რელიეფურად გამოკვეთილი ხასიათებით და დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალით.

ახლახან ალ. ჭიჭინაძე დაბრუნდა მონღოლეთიდან, სადაც ულან-ბატორის საოპერო სცენაზე დადგა რიმსკი-კორსაკოვის „შეხერეზადა" და თავისი ცნობილი „ფრანჩესკა".

სახელოვანი თანამემამულის ყოველი წარმატება, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საერთაშორისო მასშტაბით, რა თქმა უნდა,ახარებს ყველა ჩვენგანის გულს. მაგრამ როდის ვიხილავთ მას ჩვენს მშობლიურ, ქართულ სცენაზე?

**გ. დოლიძე.**



სურათზე: სცენა რ. შტრაუსის მუსიკაზე შექმნილ ბალეტ „დონ-ჟუანიდან" (ლიბრეტო და დადგმა ალ. ჭიჭინაძისა). დონა ანა — რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ბოვტი, დონ ჟუანი — მსახიობი ი. ტრეპილიხინი.

ფოტო ა. ხინელნიკოვისა.

### გამოფენაზე ლიტვაში

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი, სამხატვრო ფონდი და სურათების გალერეა ამზადებენ ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენას, რომელიც სექტემბრის დასაწყისში გაიხსნება ლიტვის სსრ დედაქალაქ — ვილნიუსში. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და კერამიკის 350 ნამუშევარი. თავიანთ ნაწარმოებებს წარადგენენ საქართველოს სახვითი ხელოვნების სახელგანთქმული ოსტატები: სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, საქართველოს სახალხო მხატვრები ლ. გუდიაშვილი, ქ. მაღალაშვილი, ე. ახვლედიანი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრები ვ. ჯაფარიძე, შ. მაყაშვილი, მხატვრები გ. თოიძე, გ. და ი. ოჩიაურები, კ. გურული და სხვ.

### გამოვიდა „ცისკარი" № 7

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდებათ ჟურნალ „ცისკრის" მეშვიდე ნომერი.

„ცისკრის" ამ ახალ ნომერში მრავალი საინტერესო მასალაა დაბეჭდილი.

### სასამართლოს დარბაზიდან

## ხლესტაკოვი მოვიდა...

არა, ეს ჩემი სტიქია არ არის — კაბინეტში ვიჯდე და ვმუშაობდე. მე უფრო თავისუფალი ცხოვრებისაკენ მიმიწევს გული, მართალია, ლენინგრადის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე, კარგი სამუშაოც მომცეს, მაგრამ მე სულ სხვა გაქანების კაცი ვარ. თუმცაღა — დავიცდი, ცოტა ხანს წავიმუშავებ, მერე კი ვნახოთ, — ახალგაზრდა იური კუზიაკინმა ასანთი აანთო, პაპიროსი გააბოლა, სავარძელში გადაწვა და ფიქრს მიეცა...

მაგრამ ი. კუზიაკინი უფრო მალე გაათავისუფლეს სამუშაოდან, ვიდრე თვითონ ფიქრობდა. იგი სამსახურიდან დაითხოვეს, როგორც უქნარა.

— ქვეყანა დიდია, — ინუგეშებდა იგი თავს, — განა ცოტანი არიან ამ ქვეყნად დოყლაპია და ბეცი ადამიანები. წავალ, სხვადასხვა ქალაქებში ვიმოგზაურებ, როგორც კორესპონდენტი და რევიზორი. ფულსაც გავაკეთებ და თავსაც გავიტან. განა ასე არ იშოვნა ფული გოგოლის ხლესტაკოვმა!

ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღო, ი. კუზიაკინმა მოქმედების გეგმაც დასახა.

ქ. ასტრახანის საზღვაო ნაოსნობის სამმართველოს მოძრაობისა და ტვირთზიდვის უფროსის ვ. დედოვის კაბინეტი თამამად შეაღო ახალგაზრდამ.

— გამარჯობათ. მე გახლავართ გაზეთ „იზვესტიის" სპეციალური კორესპონდენტი იური სერგის-ძე კუზიაკინი. თქვენთან მივლინებით ვარ ჩამოსული. უნდა დავწერო ნარკვევი მეზღვაურთა შრომასა და ცხოვრებაზე.

ვ. დედოვმა თავაზიანობის გამო მხოლოდ გადახედა უცნობი ახალგაზრდის პირადობის მოწმობას და ღიმილით მიმართა:

— სასიამოვნოა; მეტად კეთილშობილური საქმეა ასახოთ მეზღვაურების შრომა და ცხოვრება. მათ ხომ თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

— ჰო, მართლა, თქვენ მოგიხდებათ იზრუნოთ ჩემი მოწყობისათვის. გემზე დამჭირდება ცალკე კაიუტა, და, რა თქმა უნდა, კვებაც თქვენს ხარჯზე.

ა. დედოვმა ოდნავ შეცბუნებულმა გადახედა სტუმარს და მდივან ქალს მოუხმო.

— სთხოვეთ უფროს დისპეტჩერს ამხ. ე. აქსიონოვს.

მალე გამოჩნდა ე. აქსიონოვი.

— გაიცანით — გაზეთ „იზვესტიის" სპეციალური კორესპონდენტი ამხ. კუზიაკინი. აღმოუჩინეთ ყოველგვარი დახმარება. ამჟამად ვოლგოგრადში მიემგზავრება. გემზე ცალკე კაიუტა გამოუყავით ჩვენს ხარჯზე.

ი. კუზიაკინი გემზე ცალკე კაიუტაში კარგად მოეწყო. ბლოკნოტმომარჯვებული გემის ყველა კუნჭულში იჭვრიტებოდა, ვითომც მეზღვაურების ცხოვრებაზე მასალებს ვაგროვებო. ბოლოს, როცა ვოლგოგრადში ჩავიდა, გემიდან უცბად გაიპარა.

ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში დაეხეტებოდა. თავს ასაღებდა გაზეთ „იზვესტიის" სპეციალურ კორესპონდენტად, რასაც კარგად იყენებდა თავის სასარგებლოდ. ბოლოს თავი ქ. სოჭში ამოჰყო. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მდივანს ლ. ვიაზნიკოვცევას პირადობის მოწმობა მოპარა და შიგ თავისი სურათი ჩააკრა.

როდესაც სოჭში ყოფნა და ყალთაბანდობა მობეზრდა, ი. კუზიაკინმა გადაწყვიტა მოგზაურობა განეგრძო. ახლა მისი მარშრუტი თბილისში მოდიოდა.

და აი ი. კუზიაკინი თბილისშია. დადის აღმა-დაღმა და ეძებს საკბილოს. ამჯერად კაფე „ცისკარი" აირჩია. მოუჯდა მაგიდას და მენიუ ხელში აათამაშა. გამწყრალი ტონით მიმტანს მიმართა:

— თქვენთან დიდი უწესობაა. ამის უყურადღებოდ დატოვება არ შემიძლია, სთხოვეთ დირექტორს.

მალე კაფე „ცისკრის" დირექტორი ლ. დადვაძე მოვიდა.

— გამარჯობათ. მე გაზეთ „იზვესტიის" სპეციალური კორესპონდენტი ვარ. განზრახული მაქვს კაფეს მუშაობის შესახებ დავწერო ვრცელი ნარკვევი. კერძებზე ფასები მომატებულია, მომხმარებლებს ატყუებთ. სასმელები არა გაქვთ და საერთოდ ძალიან ცუდად გაქვთ საქმე. როგორ შეიძლება აქედან ველაპარაკო სასადილოების ტრესტის მმართველს? თქვენი რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებსაც უნდა ვაცნობო.

ლ. დადვაძემ ეჭვნეულად შეათვალიერა უცნობი და კაბინეტში მიიწვია.

„კორესპონდენტმა" ნომერი აკრიფა და მწყრალი ტონით ელაპარაკა სასადილოების და რესტორნების ტრესტის მმართველს კაფე „ცისკრის" „არანორმალური" მუშაობის შესახებ. როდესაც ტელეფონით ლაპარაკი დაამთავრა, კორესპონდენტმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა კაფეს დირექტორს.

— მაშ ასე, მე დღეს ვაჭრობის მინისტრსაც დავუკავშირდები და თქვენს შესახებ ვიმსჯელებთ... საღამოს 8 საათზე გამოვივლი, დანარჩენი თქვენ მოიფიქრეთ.

მაგრამ ლ. დადვაძე ასე ადვილად არ წამოეგო ცრუ კორესპონდენტის ანკესს. თავისი ეჭვები სათანადო ორგანოებს აცნობა.

საღამოს 8 საათზე ლ. კუზიაკინი კაფეში მოვიდა და პირდაპირ დირექტორის კაბინეტში შევიდა, მაგრამ დირექტორის გარდა იქ მილიციის მუშაკებიც დახვდნენ. „კორესპონდენტს" გაჩხრეკისას აღმოაჩნდა ყალბი პირადობის მოწმობები სხვადასხვა გვარზე, რასაც თაღლითობისათვის იყენებდა.

ცრუკორესპონდენტის საქმე ამას წინათ გაარჩია ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ და ი. კუზიაკინს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ზ. მესხიშვილი,**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.

**რ. ჭოლოშვილი,**

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

**თეატრები**

1 სექტემბერი

გრიბოედოვის სახელობის — მშვენიერი დღე (დღისით და საღამოს).

**ტელევიზია**

1 სექტემბერი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად" (ვარჯიშის კომპლექსი, რომელიც ყოველდღიურად გადაიცემა რადიოთი), 12.15 — გადაცემა ციკლიდან — „სად ვიყავით, რა ვნახეთ", 12.30 — მხატვრული ფილმი „საზღვრის დამრღვევი", 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაში", 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ნიკიტსკის ბოტანიკური ბაღი", 19.10 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.30 — მოკლემეტრაჟიანი ნახატი ფილმების პროგრამა, 20.30 — საესტრადო კონცერტი — „იმათთვის, ვინც შინ დარჩა" — „მხიარული მელოდიები", 20.50 — მხატვრული ფილმი „ვნებათა ყური".

2 სექტემბერი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — გადაცემა მოსწავლეთათვის „მოგილოცავთ ახალ სასწავლო წელს!", 18.20 — „პიონერული ახალი ამბები", 18.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „ქართველები ყამირზე", 18.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მფოთიანი ღამე", 19.35 — ჟურნალ „კროკოდილის" ფურცლებზე, 20.00 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის „მესხეთის დილა", 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — ჭადრაკის საღამო, 21.30 — მხატვრული ფილმი „განხეთქილების ვაშლი", 23.10 — ახალი ამბები.

**კინო**

1 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), სპარტაკი — ინდოეთის ახალი ფილმების ფესტივალი, გაზაფხული, ისანი (საზაფხულო), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — სამი მუშკეტერი (I-II სერია), ფილარმონიის ბაღი — სამი მუშკეტერი (II სერია), ამირანი (საზაფხულო), საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — ჩვენ, ორი მამაკაცი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), თანამგზავრი, კოლმეურნე, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — საშა, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე (საზამთრო). ნაკადული, მზიური — სამი პლუს ორი, კოსმოსი — სიგნალები ქალაქის თავზე, საქართველო (მწვანე დარბაზი) — პამირის შვილები. საქართველო (საზაფხულო) — ხელშეუხებელი (I-II სერია), კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი — თოჯინები იცინიან,

**რადიო**

2 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები, 18.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.20 — ო. თევდორაძე. ოპერა „ლეგენდა თბილისზე", 11.15 — მუსორგსკის კამერული ნაწარმოებები, 12.10 — საუბარი — „დიდი ისტორიული მოვლენა", 12.25 — კონცერტი — „ჩვენი თვითმოქმედება", 13.40 — ლატვიური სიმღერები, 17.15 — ო. გორდელი. ვოკალურ-სიმფონიური პოემა „რაზე ბუტბუტებს მტკვარი", 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის", 18.10 — მეჩონგურე ქალთა ანსამბლის კონცერტი, 18.45 — სიმღერები ლ. კოსტრიცას შესრულებით, 19.30 — გადაცემა „სახალხო ინიციატივის წყაროები", 20.15 — კონცერტი სულხან ცინცაძის ნაწარმოებებიდან, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — მსუბუქი მუსიკა, 22.00 — ნაწყვეტები ა. ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერ გოჩადან", 23.30 — დე-ფალია. „ღამეები ესპანეთის ბაღებში".

რედაქტორი

**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67 პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 4-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16 90. წერილების — 9-78-24, საილუსტრაციო — 8-20-43, განცხადებების — 9-94-42.

უე 06048

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.